

**თვით, თვითონ, თავად ნაცვალსახელთა განაწილება  
თანამედროვე სალიტერატურო ქართულში**

სხვადასხვა პერიოდის ქართულში თვით, თვითონ, თავად განსაზღვრებით ნაცვალსახელთა სამეულის სხვადასხვა წევრია გავრცელებული. მათი სიზშირის შეფარდება იცვლება სალიტერატუროსა თუ სასაუბრო და დიალექტურ ქართულში. დიალექტებშიც ამა თუ იმ ნაცვალსახელის რომელიმე ან რამდენიმე ფონეტიკური ვარიანტი იძებნება.

განსაზღვრებით ნაცვალსახელთა ფორმებსა და მათი გავრცელება-განაწილების საკითხებზე მსჯელობა გვხვდება არ. მარტიროსოვის მონოგრაფიაში<sup>1</sup>, ძველი ქართულის ვითარება ასახულია ი. იმნაიშვილის შრომაში<sup>2</sup>. ჩვენ გავაანალიზეთ სალიტერატურო ქართულის ძველებსა და დიალექტურ მასალებში ამ ნაცვალსახელთა გავრცელების კონკრეტული მონაცემები, რამაც უფრო ცხადად წარმოგვიდგინა მათი განაწილების სურათი.

ცნობილია, რომ ქართულში უბრუნველი თვთ ნაცვალსახელის გვერდით ხშირია ბრუნებადი თავად-ი ნაცვალსახელი. ორივე იხმარება როგორც არსებითის, ისე ზედსართავის ფუნქციით, ე. ი. დამოუკიდებლადაც და მსაზღვრელადაც. ოთხთავში გვაქვს:

შევიდა თავადი||შევიდა თვთ (ი 18,1); თვთ თავადმან წამა (ი 4,44); თავადსა ექინა (მ 8,24); თვთ იესუ არა ნათელ-მსცემდა (ი 4,2DE)...

თვთ, თავად ნაცვალსახელთა შინაარსობრივ ნიუანსებს არ. მარტიროსოვი არჩევს საზღვრულის მიხედვით: „თვთ შედარებით ზოგადი მნიშვნელობის სიტყვაა, რომელიც განსაზღვრავს როგორც ადა-

<sup>1</sup> არ. მარტიროსოვი, ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, თბ., 1964, გვ. 219—232; 361—371.

<sup>2</sup> ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნებათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957, გვ. 526—528.

მიანის, ისე არაადამიანის აღმნიშვნელ სახელებს, **თავადი** კი ჩვეულებრივ ადამიანის სახელების მიმართ იხმარება“, — წერს ავტორი<sup>3</sup>.

**თავადი** არაადამიანთა, ნივთის სახელებთანაც აღმოჩნდება ხოლმე ძველი ქართულის ტექსტებში. ამასთან, სტილისტიკურად ნეიტრალური **თვთ** ნაცვალსახელის გვერდით **თავადი** სტილისტიკურად შეფერილი, ექსპრესიულად დატვირთული ვარიანტი ჩანს: გამოიყენება უმთავრესად „ამაღლებულ“ საგანთა სახელების მსაზღვრელად ან სინონიმად; ჩვეულებრივ, უკავშირდება ქრისტეს, ღმერთის ხსენებას, აგრეთვე — მოციქულთა, მახარებელთა, წმინდანების, საეკლესიო მოღვაწეთა თუ საკულტო და პატივსაცემი საგნების სახელებს.

**თავადი** იბრუნვის. მაგალითად, პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონში **თავადი** 9-ჯერ გვხვდება ოთხ ბრუნვაში:

სახ. თავადი (თავადივე) ტიპიკონი (36,6).

მოთხრ. თავადმან ღმერთმან (8,2).

თვთ მათ თავადთა... მიიღონ (28,1).

მიც. თავადსა მას წმიდასა გიორგის (1,3).

თავადსა უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა (17,4).

თავადსა წმიდასა ღმრთისმშობელსა (36,6).

ნათ. თავადისა ქრისტეს იესუს მიერ (5,8).

თავადისა ქრისტე იესუს მიერ (15,17)<sup>4</sup>.

ი. იმნაიშვილისა და არ. მარტიროსოვის შრომებში **თავადის** სამ ბრუნვაზეა მსჯელობა: იგი ფორმდებო სახელობითში, მოთხრობითსა და მიცემითში. არ. მარტიროსოვი **თავადის** წრფელობითის ფორმასაც აღნიშნავს<sup>5</sup>.

**თავად** ნაცვალსახელი, ჩვეულებრივ, ბრუნებადია ძველ ქართულში. იშვიათად იგი გაუფორმებლად, ე. ი. „წრფელობითშიც“ გვხვდება რომელიმე ბრუნვის ფუნქციით:

**სახელობითისა:** რამეთუ იგი თავად მოსცემს ყოველთა ცხორებასა და სულსა ყოველით კერძო (ს. მოც. 17,25); „აღდეგ, ძმაო, რამეთუ მე თავად კაცივე ვარ!“ (მარტ. ქართვ. 292,30). უდრ. მეცა თავადი კაცივე ვარ (ს. მოც. 10,26). და იგი თავად ქრისტე მზრუნველ და განმგებელ გექმნეს ყოველთა ზედა საქმეთა შენთა (ბალავარ. 162,5 ო).

<sup>3</sup> არ. მარტიროსოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 363.

<sup>4</sup> ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, თბ., 1971. თავადი აქ მთავარს, მხარის გამგებელსაც ნიშნავს: თავადსა თანა მიივლინებოდის (24,1).

<sup>5</sup> არ. მარტიროსოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 362.

**მოთხრობითისა:** და თავად სიძედ სახელ-იდვა, რამეთუ ასოდ და ჯორცად თუსა კრესაბმელსა სახელ-სდვა (შატბ. 391,34); ხოლო თავად ამას ყოველსა ზედა უფალმანცა ვორცნი-იგი, რომელნი ჩუენთუს შეიმოსნა, მარხვითა შეზღუდნა (ბას. სწავ. 8,29); უკუეთუ ცოდოს კაცმან და ესმეს ჳმა ფიცისაჲ და ესე წა-მებდეს გინათუ იხილა, გინათუ თავად იცის და უკუეთუ არა ღთხრა, მიილო მან ცოდვაჲ მისი (მცხ. I, 5,1).

**თავადის მოქმედებითის ფორმა თითქოს გამორიცხული არ უნდა იყოს: რაკი გვაქვს: ღმრთით, უფლით, მოძღურით (ი 6,45DE; მ 22,43; მ 22,45; ი 13,13C...), შეიძლებოდა გექონოდა თავადით ღმრთით (უფ-ლით, მოძღურით...), მაგრამ ჩვენ ამგვარი ფორმები ვერსად შევნიშ-ნეთ, თავად ნაცვალსახელის ვითარებითისა და წოდებითის თითო-ოროლა ნიმუში კი გვხვდებოდა ძველი ქართულის ტექსტებში.**

ა) ვ ი თ ა რ ე ბ ი თ ი ს მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი ა :

ხოლო დომენტიანოს ვითარცა ველი წარწერა და ცნა, რამეთუ სხუათა მწე-ლებელთა არა წარწერეს, გულისკლებითა და ურვითა წუერნი მოიკუეცნა და თ-ვადად განეშორა იგი კათოლიკისა ზიარებასა და წყლით-მაკე იქმნა კოსტან-ტინებოლისს შინა და ესრჭთ აღესრულა უზიარებელი (მამ. ცხ. 120,31); იღდა და შილა, რამეთუ იგინცა თავადად კაცნი წინაწარმეტყუელნი იყვნეს, მარ-ვლითა სიტყუთა ნუგეშინის-სცეს ძმათა მათ და დაამტკიცებდეს (ს. მოც. 15,32C)...

**თავადად ვითარებითბრუნვიანი სახელის მსახდერელადაც გამო-იყენება:**

მიიწია სახელი სათნოებათა მისთაჲ ვიდრე თავადად სამეფუოდმდე (ილარ. 230,20); ხოლო მიიწია ჰამბავი და სახელი მისი ვიდრე თავადად შეფედმდშ (პატ. VI, 12,4); რომელნი-იგი პირად-პირადთა საოცართ-მოქმედთა ხილუათა და-ნიად ცისკრიოჯან ვიდრე თავადად მწუხრადმდე ანუკეებენ სახილველთა მათ-თა (ბას. ექუს. 40,21).

ამ მასალაში თავადად = „თვით“; თ ვ ი თ სამეფომდე (მეფემდე, მწუხრამდე...), ზოგ კონტექსტში თავადად „პირველი“ რიცხვითი სა-ხელის შინაარსისაჲ:

თავადად კლდედ ეკლესიამ ვთქუა... და მეორე იგი კლდე-პეტრე (სებ. მოც. 136,25).

ბ) **თავადის წოდებითი ვაფორმების ერთი ნიმუში გვაქვს „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“:**

...წმიდისა მავის უდაბნოსა თავადო უფალო და ქრისტეს მოყუარისა ერისა მოძღუართ და განმანათლებლო ყოველთაო, შეგვდგეთ წმიდიოთა მავით სიმდაბლითა ჩუენი ესე კადრებული (302,33).

**თავადი** მრავლობითშიც იხმარება: ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი ს ფორმა „კაცნი თავადნი“ იკითხება ზემოგანხილული იუდა და შილას პარალელურ ტექსტში (ს. მოც. 15,32); **თავადთა** ნაცვალსახელი თანიანი მოთხოვითის ფუნქციით მოვიყვანეთ პეტრიწონის ტიპიკონის მასალებში (28,1); თანიანი ნათესაობითის მსახვრეულადა **თავადთა** ფრაზაში:

ანუ არა-მე კმა არს-ა ესე ოდენ უზეშთავსად სიხარულად... თავადთა მათ გელთა მიერ ყოველთა შემოქმედისა ღმრთისათა დაბადებაჲ? (ბას. სწავ. 26,22).

რაკი წოდებითში **თავადო** გვაქვს, ბუნებრივია **თავადნო** მრავლობითის ფორმაც.

ამგვარად, **თავადის** ფორმებია: თავად, თავადი, თავადმან, თავადსა, თავადისა, [თავადითა], თავადად, თავადო; თავადნი, თავადთა, [თავადნო].

წარმოგადგინოთ თვით, თვითონ. თავად ნაცვალსახელთა სინშირის ტაბულები სალიტერატურო ქართულის ძეგლების მონაცემების მიხედვით და თავალი გავადგენოთ თითოეული ნაცვალსახელის გავრცელებულობას სხვადასხვა პერიოდში.

I. ძველ ქართულში თვითონ არ გვხვდება, თუთ და თავადი კი ასე ნაწილდება:

1. მარტვილობანი	თვთ	თავადი
	კოსტანტი კახაისი	—
გობრონისი	—	—
ყრმათა კოლაელთა	—	—
შუშანიისი <sup>7</sup>	4	—
ეესტათი მცხეთელისა	2	—
დავითისი და ტირიჭანისი	2	—
2. ალექსანდრე კვიბრელის ქრონიკა	1	—
თეოდორე აბუკურა	31	—
უძველესი იადგარი	14	7

6 მარტვილობათა ტექსტები: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I (V—X სს.), დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაქემ, ნ. ათანელი-შვილი, ნ. გოგუაქემ, ლ. ქაჯაია, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანიკევმა და ც. ჯღამაიამ ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1963.

7 ილია აბულაძის მიერ გამოცემული „შუშანიის წამების“ ვრცელ რედაქციაში მხოლოდ თუთ გვხვდება 4-ჯერ, მისივე ვრცელი სომხური რედაქციის ქართულ თარგმანში კი თავადი-ცაა გამოყენებული: „და თავადი დედაკაცია იგი მიუთხრობდა მოგუთა მათ“; იაკობ ცურტაველი, მარტულობა შუშანიისი, თბ., 1938, IX, 48 (გვ. 35).

ეზიკიელის წიგნი	4	2
ფსევდომაკარის თხზულებანი	91	6
ხანმეტი ტექსტები	4	20
ოთხთავი	25	114 <sup>8</sup>

ნათელია, რომ ზოგ ძეგლში საერთოდ არ გვხვდება ეს განსაზღვრებითი ნაცვალსახელები, ზოგში მხოლოდ **თუთ** არის გამოყენებული, ზოგში კი **თუთ/თავადი** ფორმებიდან ხან ერთი ქარბობს. ხან — მეორე. ხშირად ისინი გვერდიგვერდაც იხმარება; ასე, მაგალითად, სინური მრავალთავი თითქმის თანაბრად (40/41-ჯერ) გვთავაზობს **თუთ/თავადი** ნაცვალსახელების მაგალითებს, ამასთან, **თუთ თავადი** ერთადაა ფრაზაში 11-ჯერ<sup>9</sup>. ისე რომ, ძველ ქართულში **თუთ, თავადი** ნაცვალსახელური ერთეულების პარალელურად გავრცელებულია **თუთ თავადი** წყვილიც. მათს სტილისტიკურად საინტერესო სინონიმურ საშუალებებად გვევლინება აგრეთვე **თავით თუსით, თუთ თავით თუსით** ნაცვალსახელური წყვილები და სამეულები.

მიემართოთ ისევე ცხრილებს.

ლიტერატურული წყარო	თუთ		თავადი		თუსით	
	თუთ	თავადი	თავადი	თუსით	თუთ	თუსით
1. აბო ტფილელის მარტვილობა	8	—	4	—	2	—
გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება	14	5	3	1	—	—
სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება	10	2	—	1	—	—
პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონი	10	9	5	1	—	—
იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრება	14	3	2	—	1	—
2. შატბერდის კრებული	100	60	22	21	2	2
ბალავარიანი	23	6	2	1	1	1
მცირე სჯულისკანონი	5	8	7	—	—	—
კილ-ეტრატის იადგარი	7	4	1	—	—	—
ბასილი კესარიელის „სწავლათა“	52	15	10	1	1	1
ამონიოს ერმისის თხზულებები	67	—	20	—	—	16

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ წყაროების ენაში გაბატონებულია **თუთ** ნაცვალსახელი. რაოდენობრივად მას მოსდევს სინონი-

<sup>8</sup> თუთ-ნაცვალსახელიანი 18 კონტექსტი ერთნაირია ოთხთავის ორსავე რედაქციაში, 7 განსხვავებულია C რედაქციაში; თავადის შემცველი ფრაზები პარალელურად აღირიცხება ორივე რედაქციის მიხედვით 100 შემთხვევაში, სათანადო მასალა გვხვდება მხოლოდ ერთ-ერთ რედაქციაში: C — 13 შემთხვევაში, D — ერთხელ.

<sup>9</sup> სინური მრავალთავი 864 წლისა, ა. შ ა ნ ი ძ ი ს რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევიით, თბ., 1959.

მური თავადი და სხვა ვარიანტები. განსაზღვრებით ნაცვალსახელთა სხვადასხვაგვარი განაწილება გვხვდება ავტორთა (მთარგმნელთა) ენაში. ამ მხრივ სხვაობს ერთი ავტორის თხზულებებიც. მაგალითად, იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ თარგმანთა რედაქციები ასეთ სურათს წარმოგვიდგენს:

მთარგმნელი	თუთ	თავადი	თუთ თავადი	თავით თუთით	თუთ თავით თუთით
ეფრემ მცირე	27	—	3	17	—
არსენ იყალთოელი	15	—	—	17	3 <sup>10</sup>

ამ მონაცემების მიხედვით შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ არსენ იყალთოელი არ იყენებს თავად-ნაცვალსახელს, მით უმეტეს, რომ იგი არც თეოდორე აბუჟურას „ტრაქტატებსა და დიალოგებში“ აღინიშნება. მაგრამ სხვა ვითარებას გვიჩვენებს მისივე კალმის „დიდი სჯულისკანონი“, რომელიც თუთ, თავად-—ორივე სინონიმურ ერთეულს იცნობს სათანადო ვარიანტებითურთ:

უგონიერეს ვიქმნებით თუთ მის კითხვისა მიერ და მრავალსა ვისწავებთ (472,მ); ...რომლისათვის თუთმცა თავადი კმა-იყავ მოსაჯულად თავისა თვისისა და ჰეშმარიტებისა (498,20); თუთ მას თავადსა უფალსა მოუცემის (385,კ); მიტროპოლიტი... მეფესა ნუ თავით თუთით მიუმცნებდ (158,19); ხოლო თუთ თავით თუთით განვაწესებთ ესრეთ (488,7)<sup>11</sup>.

აქვე წარმოვადგინოთ თუთ ნაცვალსახელისა და მისი სინონიმურ საშუალებების პარალელურად ხმარების ნიმუშები სხვა წყაროებიდანაც:

გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება: თუთ ვჰმსახურო თუთს ჩემსა (255,28); ...რათა მან თავადმან ყოველნი ბრალნი შენი შეგინდუნეს (296,41); თუთ თავადმან იგნე (315,33); არა თავით თუთით ჭადაგებდეს (290,4)...

სინური მრავალთავი 864 წლისა: თუთ მის იქმოდა ზღვა (107,13); ესე თუთ არს ჯელმწიფება იგი ეშმაქისა (177,12); მან თავადმან ატხოვნა (91,19); იგი თავადი არს ნიკოდემოს (64,38); თუთ თავადმან ყოს სასჯელი (70,15); იგი თუთ თავით თუთით აგინებ და ჰკლემს (214,20)...

<sup>10</sup> იოანე დამასკელი, დიალექტიკა, ქართული თარგმანების ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. რაფაევამ, თბ., 1976.

<sup>11</sup> დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაძემ, გ. ნინუამ, თბ., 1975.

შატბერდის კრებული: და თვთ ფერი მისი არს ვითარცა მწუნავ-  
ლისა მის (129,19); რამეთუ იგი თავადი არს ვენაჲ ჳემპარიტი (305,10); და  
უფალმან თავადმან თვთ ყო გამოქსნაჲ სიკუდილისაგან (420,25); ეგრეცა  
შაცხოვარი ჩუენი იესუ ქრისტე მარტო თავით თვსით აღვიდა მთასა იაბორ-  
სა (190,9); თვთ ძჲ მოვიდა და იშვა ქალწულისაგან თვთ თავით თვსით  
ჳელმწიფედ (296,21).

„თავით თვსით“ წყვილის შინაარსისა ხშირად გამოთქმები: „ნეფ-  
სით თვსით“, „ველით თვსით“ და მისთ. ეს წყვილები საკურადლებოა  
ექსპრესიულობის თვალსაზრისით: ზოგადი შინაარსის თვთ, თავადი  
ნაცვალსახელებთან შედარებით ისინი უფრო კონკრეტულ სემანტიკურ  
ნიუანსებს გადმოსცემენ. დავაკვირდეთ სათანადო მასალას „მცირე  
სკულისკანონიდან“:

მან თვთ მისცეს პასუხი უფალსა (27,20); რამეთუ თავადიცა უფალი  
ცრემლოდა მათვს (35,20); ნუშვა ვინ ერისკაცთაგანი წმიდათა საიღუმლოთა ეზი-  
რების თავით თვსით (56,28); ...რომელსა მცირედ ეცოდოს ერთსა თანა პირსა  
და ნეფსით თვსით შეინახოს... (107,22); კონსტანტინე თვსითა ეელითა  
დაწერა სინგურითა წამებოი (84,24); სხუანი სრულსა ყრმასა შოპალსა თვსითა  
ველითა ანუ სხვსათა მოჰკლვენ (110,7).

უკუქცევითი შინაარსის ნაცვალსახელურ წყვილში განზოგადებუ-  
ლი შინაარსის თვსით პირის შესაბამისად იცვლება კონკრეტული ჩე-  
მით, შენით... წვერებით:

თავით თვსით შენ მაგას იტყვ, ანუ სხუათა გითხრეს ჩემთვს? (ი 18,34 DE).  
შდრ. შენით თავით იტყვ მაგას, ანუ სხუათა ვით გრძუეს შენ ჩემთვს? (იქვე,  
C); ვგალობდ თავით ჩემით (მამ. ცხ. 29,24); რომელი გუესმა და ვიხილეთ თუ-  
ალითა ჩუენითა (მც. სჯ. 129,23); ვითარცა მან თვთ გვთბრა პირითა  
თვსითა (მამ. ცხ. 275,17).

ასეთ წყვილებში კუთვნილებითი ნაცვალსახელის ჩავარდნითა და  
სათანადო საზღვრულის განმარტოებით ვიღებთ უკუქცევითი შინაარ-  
სის ცალწვერა სინონიმურ ფორმებს: თავით, ნეფსით და სხვ.:

ა) თავით შვირტყი სარტყელი (ი. 21,18c). შდრ. შვირტყი თავით თვსით  
და ხვლოდი (იქვე, DE); აღწერილი იგი ბრალისა ჩუენისა თავით აღვეოცოთ  
(სინ. მრ. 119,35). ...რამეთუ მსგავსებად ეგულების ძესა ღმრთისასა თავით თა-  
ვისა განდიღებოთ (შატბ. 284,23). შდრ. იქვე ჰროქრქდაგებოთ ბრძანებად გან-  
სცეს თავისა თვსისა განდიღებოთ (284,29); ეგრეცა იაკობ თავით თავისა  
თვსისასა გამოაჩინებს (159,25).

ბ) ნეფსით ყო თავი თვსი ეშმაკეულ (ბას. სწავ. 183,15). შდრ. იქვე: ხოლო  
ესენი ნეფსით თვსით მოაწევენ თავთა ჴედა თვსთა ჴამთარსა მას მორკალო-  
ბისასა (183,12); საცნაურ არს უუეე, ვითარმედ თვთ ნეფსით მოატყუა ადამ  
თავსა თვსსა სიკუდილი განწორებოთა ღმრთისაგან (63,22).

ამრიგად, ძველ ქართულში სინონიმური თვით, თავადი ნაცვალსახელების გარდა მათი შინაარსით გავრცელებულია „თავით თვისით (ჩემით...)“ რიგის ნაცვალსახელური წყვილები. იშვიათად გვხვდება თვით ნაცვალსახელის ურედუქციო თავით ვარიანტი და თავადი ბრუნებადი ფორმის თავად გაქვეყნებული სახე. იხმარება მათი კომბინაციებით მიღებული ენობრივი საშუალებებიც: თვით თავადი, თვით თავით თვისით და სხვ.

II. გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი ხ ა ნ ი ს მ წ ე რ ლ ო ბ ა შ ი ი ც ვ ლ ე ბ ა ამ ნაცვალსახელთა გავრცელება-განაწილების სურათი. რამდენაღმე იცვლება მათი ფორმაც. ჩნდება ახალი ვარიანტები. საერო ძეგლებში შემოდის და თანდათან მკვიდრდება თვითონ ნაცვალსახელი. ამასთანავე, „თავით თვისით“ რიგის წყვილების გვერდით. არსებითი-საზღვრულის გარდა, უკუქცევითი შინაარსით იტვირთება მსაზღვრელი კუთვნილებითი ნაცვალსახელები: ჩემით, შენით, მისით...<sup>12</sup>

ნაცვალსახელური წყვილი და სათანადო ცალი იდენტურია, მაგალითად, „ვისრამიანის“ ერთ ფრაზაში:

რა გაგვა, თუ შენ შენითა თავითა იქადდე და მე შენითა შენგან უფრო ვიქადდე? (215,8-9).

კუთვნილებითი ნაცვალსახელის გასუბსტანტივება-განმარტოებისა და მისი პირის ნაცვალსახელის ფუნქციით აღჭურვის ანალოგიური ნიმუშებია:

განათლდა ასე მისით, ვით მთვარე (აბღულ. 18,2); მაგრა სჯობს, შენცა გალხინოს ჩემმან შენითა ლხენამან (რუსთ. 1487).

XVII—XVIII სს. მწერლობაში ჩემით რიგის ფორმები მრავლდება:

სურნელს უბესა ჩემით ავსებენ, ამოყოლებენ (თეიმ. I, 1,9); ჩემით ვაძლებს ქვეყანა (თეიმ. II, 113); სული შენი ჩვენით ცხოვლობს (საბა, II, 162).

ასეთ ფორმებს უკუქცევითი შინაარსიც აქვთ გარკვეულ შემთხვევებში:

წერილთ მომპოვნნი, თვისით მომგონნი (აბღულ. 84,3); მიბრძანეთ, ერნო, მოხხარით, თქვენით იტყვით თუ კრებით (არჩ. I, 29); თუ ჩემით ახლად მეშოვნა, მქონოდა გასახარავი (ვახტ. VI, 89).

<sup>12</sup> ამის თითო-ორთლა ნიმუში ძველ ქართულშიც იქნებნება: ამისთვის წმიდისა მიცვალბისა შენითა ვსენებასა ვადიდებთ (არჯობ. 63).



ამ ფორმათა პარალელურად სათანადო წყვილები იშვიათად XIX საუკუნის მწერალთა ენაშიც გვხვდება, შემდეგ კი ჩემით და მისთანა ცალები ბატონდება. კერძოდ:

„ვეფხისტყაოსანსა“ და მისი ეპოქის საერო ძეგლებში თავადი თითქმის აღარ იხმარება, თვითონ ჯერ კიდევ არაა ფეხმოკიდებულა, გაბატონებულია თვით/თუით. ჩვენი გამოთვლით, ამ ნაცვალსახელთა გამოყენების რიცხოზობრივი მონაცემებია:

თამარიანი	18
აბდულმესიანი	48
ვეფხისტყაოსანი	62
ვისრამიანი	201
ამირანდარეჯანიანი	115

„ამირანდარეჯანიანის“ ძირითადს ტექსტში თვითონ ერთადერთხელ გვხვდება: „...და თუითონ ნადირობა დაიწყო“ (160,8) ხელნაწერებში ხშირია მისი სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტი: თვითა, თვითან (თვთან), თვითვან, თვითო(ნ), თითონ:

თუით თავით თქუენითა მოღით (134,5); „ნუ იცილებით, მე თუით ენახო“: თვითა O (334,3); ვინ თუით არა ნახნეს; თვითონ A; თვითან OP (209,1); თუით სეფედავლე გავიღის; თვთან R (445,3); და გამოგუყუა თანათუით მეფე; თვით A; თვითვან F (262,6); ტალასა დაღვა თუით ამირანდარეჯანისძე; თვითონ Q; თვითო R (103,9); თუითცა მოყუდა; თვითცა A; თვითანც DK; თითონაც I; თვითონც L; თვითონაც Q; თითონაც R (571,9).

თვით ნაცვალსახელის შინაარსით ნუსხებში დაცულია თავითურედუქციო ფორმაც:

თუით ველითა მისითა მართუა; თავით თავისი ხელით R (434,11); თავითუთ შეაპრობინეს; თავით DGK (599,1); თუით არა გამოგუნ: თვით A; თავით D (630,5).

ერთგან თვით შეცვლილია თავად გაქვევებული ფორმით:

„ესერა სახლოვესა ერთი ქალაქი არის ცოტა, თუით მისა აგებული“: თავად BFQS (20,6).

ბრუნებადი თავადი ნაცვალსახელი ჩანს თითქოს ფრაზაში:

„...ჩუენ სეფედავლეს მეცხოვრენი ვართ, და ისი თავადი მეცხოვრეთ უხუცესი არის“: მთავადნი D (391,3).

არ არის გამორიცხული, რომ თავადი აქაც დიდი ფეოდალის, მთავრის, უფროსის სინონიმი იყოს, როგორც სხვა შემთხვევებში (52,4; 52,6; 53,2; 745,5; 784,11)<sup>13</sup>.

„ამირანდარეჯანიანის“ მკვლევარ-გამომცემელი ლ. ათანელიშვილი აღნიშნავს: „ტექსტის დადგენისას უბრატესობას ვაძლევდით შედარებით უფრო ძველ ფორმებს, რომლებიც დამახასიათებელია XII საუკუნის საერო ლიტერატურული ძეგლებისათვის. ტექსტი ძველი წართულის ორთოგრაფიით გავმართეთ“<sup>14</sup>.

გამომცემელს ხელთა ჰქონდა ტექსტის გვიანდელი, XVII—XVIII საუკუნეთა ხელნაწერები. ამიტომ ბუნებრივია, რომ ვარიანტებში თუით/თვით ნაცვალსახელის თითქმის ყველა სინონიმური ფორმა აღმოჩნდა მეტ-ნაკლები რაოდენობით. მათგან ძირითად ვარიანტად ეპოქისათვის დამახასიათებელი თუით ფორმა არის მიჩნეული.

საერო ძეგლებში ჩნდება და აღორძინების ხანის შწერლობაში მრავლდება თვითონ, მაგრამ ჭერჭერობით მას საგრძობლად სჭარბობს თვით; იშვიათად უბრუნველი (ან ბრუნებადი) თავად ნაცვალსახელიც გამოჩნდება. სამაგიეროდ ენას ეძალება თავად ისეც, ისედაც, ჯერ, ჯერ ერთი... ზმნისართების მნიშვნელობით. ისე რომ, ე. წ. სამშუალ ქართულში თავად გვხვდება ორგვარი შინაარსით:

1. უბრუნველი (ან ბრუნებადი) თავად განსაზღვრებით ნაცვალსახელად;

2. უბრუნველი თავად/თ თავიდან, პირველად, ჯერ, ისეც, ისედაც... ზმნისართების მნიშვნელობით, რაც ძველმა ქართულმა არ იცის.

სასაუბრო ენიდან შემოსული თავად ზმნისართი ძალზე გავრცელდა აღორძინების ხანის სამწერლო ენაში, მაგრამ მისი ხმარება მალევე შეიზღუდა; იგი კანტიკუნტადლა გვხვდება XIX საუკუნის ლიტერატურაში, შემდეგ კი თანდათან დიალექტური მეტყველების კუთვნილება ხდება.

დღეს თავად ზმნისართი უფრო ფრაზეოლოგიურ მასალაშია შემორჩენილი: „თავად არ იყო ძმარით, შიგ გაურისე წყალიო“. ამ ცნობილ ანდაზაშიც თავად ხშირად თვითონ ნაცვალსახელად ესმით, რადგან თანამედროვე მკითხველისათვის თავად სიტყვა, უპირველეს ყოვლისა, ნაცვალსახელია<sup>15</sup>.

<sup>13</sup> წიგნს დართულ ლექსიკონში თავადის ეს მაგალითი არაა დამოწმებული.

<sup>14</sup> მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლ. ათანელიშვილმა, თბ., 1967, გვ. 5100.

<sup>15</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რედაქციულში (1950—1964 წ.წ.) თავად-ის ზმნისართულ მნიშვნელობაზეცაა მითითებული: თავად 1. ნაცვალსახ. თვითონ; 2. ზმნ. ისეც, ისედაც. ამ უკანასკნელის საილუსტრაციოდ კი დასახელებული ანდაზა მოხმობილი (ქეგლ, IV, 1955).

**თავად ზმნისართის ერთი მაგალითი ამოვიკითხეთ ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე:**

— დედი, თავად მთელი დღე თავი მტყევა და ეს რაღას მიჰხლანუნებს! — აწუნუნდა დარიგო<sup>16</sup>.

აქ თავად ჯერ, ისედაც ზმნისართების სინონიმურია.

სალიტერატურო ქართულში თავად სიტყვისა და მისი სინონიმების განაწილება სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული. კერძოდ, ძეგლის შინაარსი, ლიტერატურული ჟანრი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მათს გავრცელებულობას.

XVII—XVIII სს. საეკლესიო-რელიგიური დანიშნულების ძეგლები განსაზღვრებით ნაცვალსახელთა ტრადიციულ ფორმებს და შესაბამის სინონიმებს იყენებენ. ისინი კარს უზნავენ სასაუბრო-ზეპირმეტყველების ვარიანტებს: გვერდს უვლიან თვითონ ფორმას, თავად ზმნისართზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია! სამაგიეროდ, საერო ძეგლების ენა ამ მხრივ დიდი თავისუფლებით ხასიათდება. აქ ვნახეთ განსაზღვრებით ნაცვალსახელთა ნებისმიერ ფორმას, თითოეულის სხვადასხვა ფონეტიკურ ვარიანტს, სათანადო ნაცვალსახელურ წყვილულებსა თუ სამეულებს.

სასულიერო მწერლობაში, როგორც ძველ ქართულში, უმთავრესად მხოლოდ თვთ/თავადი მონაცვლეობს. ასე, მაგალითად, ანტონის „მარტირიკაში“, სადაც ავტორის 20 ჰაგიოგრაფიული თხზულება შედის, თვთ 75-ზე მეტია, თავადი — 3. პარალელურად გვხვდება თავით — ერთხელ და „თავით თუსით“, „ნებსით“, „ნებსით თუსით“ — ოამდენ-ჯერმე<sup>17</sup>.

სულხან-საბა ორბელიანის „სწავლანიც“ ძველი ქართულის ვითარებას გვიჩვენებს: თვით აღმოჩნდა 102-ჯერ, თავადი („თვით თავადი“ წყვილთან ერთად) — 8-ჯერ. თვითონ აქ ერთადერთხელა გამოყენებული:

რომელიცა კაცი ლოცვასა ზედა მოყვასა უზრახების, სამსახურისაგან ღმრთისა თვითონ განეარდნილ არს (28,21)<sup>18</sup>.

<sup>16</sup> ს. ს ა მ ხ ა რ ა ლ ი, პელოს ბიზანი, ჟურნ. „ცისკარი“ № 5, 1925, გვ. 11. ავტორი თელავის რაიონის სოფელ იყალთოდანაა, სადაც თავად ხშირად ისმის ნაცვალსახელად და ზმნისართადაც.

<sup>17</sup> ა ნ ტ ო ნ ი, წიგნი მარტირიკა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკლავა, ლექსიკონი და სამიუბლები დაურთეს ე. გაბიძაშვილმა და მ. ჭავჭავაძემ: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, VI, თბ., 1930.

<sup>18</sup> ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკლავა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ი. ლოლაშვილმა: თხზულებანი ოთხ ტომად, III, თბ., 1963.

სულ სხვა სურათთა საბას საერო ძეგლებში („სიბრძე სიცრუისა“, „ჩილილა და დამანა“, „მოგზაურობა ეროპაში“). აქ აღინუსხება: **თვით** — 122, **თვითონ** — 44, **თავად** ზმნისართი — 15. **თავად(ი)** ნაცვალსახელი გამორიცხულია, **თვითონ** ათეულობით გვაქვს, თუმცა კვლავ უპირატესობით გამოირჩევა მისი **თვით** ვარიანტი.

ეპოქის საერთო ვითარების გასათვალისწინებლად საინტერესოა სხვა ძეგლების ჩვენება:

ლიტერატურული წყარო	თვით	თვითონ	თავად	
			(ნაცვ. ზმნს.)	
თეიმურაზ I	40	9	1	—
არჩილი	79	24	3	—
რუსულდანიანი	180	103	—	100 <sup>19</sup>
გურამიშვილი	45	5	—	2
თეიმურაზ II	116	20	3	3
<b>სულ</b>	<b>460</b>	<b>161</b>	<b>7</b>	<b>105</b>

როგორც ეს ცხრილი, ისე საბას თხზულებათა მონაცემები ნათლყოფს, რომ ამ პერიოდის ლიტერატურაში (პროზაშიცა და პოეზიაშიც) კვლავ ტრადიციული **თვით** არის გაბატონებული. მის სინონიმად ჩვეულებრივია სასაუბრო ქართულიდან შემომტკიცებულ **თვითონ** ნა-

<sup>19</sup> თავად ზმნისართს ზოგჯერ თავად ნაცვალსახელად კითხულობენ. ა. რ. შარტიროსოვი თავად ნაცვალსახელის წრფელობითისთვის „რუსულდანიანიდან“ გვთავაზობს მაგალითს: „თავად შენ ასაკითა სრული ხარო“ (იხ. უასახ. შრ., გვ. 362). ეს ფრაზა ნაწილია ერთეული კონტექსტისა, რომელიც „რუსულდანიანს“ ენისათვის ნიშნადობლივი „თავად-მერმე“ ზმნისართული მოდელის მიხედვითაა აგებული და, მაშასადამე, აქ თავად ნაცვალსახელი კი არ არის, — „ჯერ ერთი“ გამოთქმის სინონიმური ზმნისართია დასაბუთების შინაარსის ტექსტში. — მეფე ებოდიშება სასიძოს, ასულს ვერ მოგაბოვებო: „თავად (ე. ი. ჯერ ერთი) შენ ასაკითა სრულ ხარო და ჩემი ასული ყრმაწვილია და... მერმე შენ სხვის თემისა ხარ და მე სხვის თემისათ და ასრე სიშორე ძნელია ჩემგან ჩემისა მაცოცხლებელისა ასულისაო“ (6,2). კონტექსტის სიდიდის გამო ჭირს იმის აღქმა, რომ იგი „თავად-მერმე“ ზმნისართული წყვილით არის შეკრული. ამასთან, შინაარსი იგუებს **თვითონ/თავად** სინონიმების მნიშვნელობასაც, რაც ქმნის თავად ზმნისართის თავად ნაცვალსახელში აღრევის საფუძველს. წიგნს დართული ლექსიკონის ავტორებსაც თავად აქ **თვითონ** ნაცვალსახელად განუმარტავთ, თუმცა ასეთი თავად არ იცის თხზულებამ. ამ მხრივ გამოჩვენდა ერთადერთი, ისიც, სადავო მაგალითი: „უკუდგენ ორნივე და ჯერ ქორწილი მიულოცეს, მერმე შეფედ დალოცეს, თავად მონურად ეთავყანეს. აწ ისინი დასხდენ და...“ (იხ. რუსულდანიანი, ი. აბულაძისა და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით, თბ., 1957, გვ. 237,26).

ცვალსახელი. თავად/თავადი ნაცვალსახელად იშვიათია, თავად მომრავლებულია ზმნისართის ფუნქციით.

საგულისხმოა თავად ნაცვალსახელის ფორმის საკითხი: იგი თანაბრად, 3-3-ჯერ, აღირიცხება არჩილისა და თეიმურაზ II-ის თხზულებებში; არჩილთან უბრუნველია, თეიმურაზთან — ბრუნებადი, რაკი ამ უკანასკნელთან თავად რელიგიური შინაარსის ნაწარმოებებში გვხვდება უმთავრესად:

**არჩილი:** თავად ბატონი მეც ვნახე (II,127). თავად ცვილებრი რბალობდეს (I,119). გვარად ვარგა და თავადა (II,49).

**თეიმურაზ II:** ელისე თვითცა ხედიდა, თავადი ულადადებდა (24). ხოლო თავად მან მოუგო (36). შენ, თავადი, ჰში მყრალობას, შინა პატლთასა ჩივილით (23).

**შღრ. ვახტანგ VI:** თაბორზედა თოვლისებრი თავადია თავად თვითონ (64).

საყურადღებო მაგალითია: აქ თვითონ ნაცვალსახელის გვერდით თავად-ის ორივე ფორმაა — ბრუნვისნიშნისანიც და უამისოც.

როგორც ჩანს, ბრუნვაცვალებადი თავადი ინერციით მოსდევს XVII—XVIII საუკუნეების მწერლობას, ისიც, რელიგიურ თემებზე დაწერილ თხზულებებში. იგი კვლავ უმთავრესად „ამაღლებული“ საგნების — ქრისტეს, წმინდანების — ხსენებას უკავშირდება და, მაშასადამე, სტილისტიკურად შეფერილია.

ამ ეპოქის ძეგლების ენისათვის ნიშანდობლივია ძველი ქართული-სათვის იშვიათი თავით ფორმა — თვით ნაცვალსახელის ურედუქციო ვარიანტი:

არცა ფუცვიდეს თავით და არცა ვინ დააფიცოს (არჩ. I,89); ან ჩენს მახეში შევიბამ, ან თავით მე შევებშია (არჩ., I,203); კიდობანსა მას შეხვიდე თავით ცოლით და შეილებით (თეიმ. II,9); შევა, როგორც ღმერთმან ბრძანა, თავით, შევილით და ცოლებით (თეიმ. II,10); კრულმცა[ა] ამა ქალაქსა მოსკეული თავით და ბედით (ბეს., 89); თვთ თავით ჰსძლეს (ანტონი, 334); ზარი თავით თვით ირეკებოდეს (კალმ. 256).

დამოუკიდებელი თავით თვითონ-ის მნიშვნელობით XIX საუკუნის მწერლობამ აღარ იცის, გვხვდება მხოლოდ დიალექტურსა და ზეპირსიტყვიერების მასალებში:

ერთმა კაცმა... სიკვტილი თავით ზიდოს, მისი სიკვტილი მან გადაყაროს (ჯ. ნოღ. 164); წუჭდა თავით ჩობანმა (ქრესტ. 374); თავით ქელოღლანმა ფურუხეთ ხანუმესთან დაწვა (იქვე, 379)...

ამგვარად, გარდამავალი ხანის მწერლობაში განსაზღვრებით ნაცვალსახელთა განაწილების მიხედვით ორი სფერო უნდა გამოიყოს:

1. სასულიერო-რელიგიური შინაარსის მწერლობა, რომელიც მიჰყვება ძველი ქართულის ტრადიციას და სათანადო ნაცვალსახელურ ფორმებს იყენებს ძირითადად (თ ვ ი თ, თ ა ვ ა დ ი, თ ა ვ ი თ, თ ა ვ ი თ თ ვ ი ს ი თ...);

2. საერო მწერლობა, რომელიც ტრადიციულ ფორმებსაც ინარჩუნებს (თ ა ვ ი თ, თ ა ვ ა დ (ი), თ ა ვ ი თ...) და სასაუბრო-ზეპირმეტყველებითი ქართულიდან შემოსულ ფორმებსაც ითავისებს (თ ვ ი თ ო ნ ვ არ ი ა ნ ტ ე ბ ი თ უ რ თ; თ ა ვ ი თ ჩ ე მ ი თ რ ი ვ ის წ ყ ვ ი ლ ე ბ ა ის ნ ა ც ვ ლ ა დ ჩ ე მ ი თ რ ი ვ ის ც ა ლ ე ბ ი).

III. განსაზღვრებით ნაცვალსახელთა გავრცელება-განაწილების საკითხში ცვლილებები შეაქვს X I X ს ა უ კ უ ნ ე ს ა ც.

რომანტიკოსებიდან ალ. ჭავჭავაძესა და გრ. ორბელიანთან თ ვ ი თ ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად სჭარბობს თ ვ ი თ ო ნ ნაცვალსახელს, თ ა ვ ა დ საზოგადოდ არ გვხვდება, ნიკოლოზ ბარათაშვილის ენის ჩვენება კო 60-იანელთა ენის ჩვენებას უახლოვდება. აქ უკვე თ ვ ი თ ო ნ არის მოძალებული, თ ვ ი თ უფრო პოეზიის ენის კუთვნილებაა:

ლიტერატურული წყარო	თ ვ ი თ	თ ვ ი თ ო ნ
ალ. ჭავჭავაძე	86	2
გრ. ორბელიანი	124	20
ნ. ბარათაშვილი	6	13
ს უ ლ	216	35

ნიმუშები:

თ ვ ი თ: თ ვ ი თ განსაჯე, უღმობელო (ალ. ჭავჭ., 22); თუ არ შეკმუსრავს თ ვ ი თ კლდესა (გრ. ორბ., 21); თ ვ ი თ უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს (ნ. ბარათ., 122).

თ ვ ი თ ო ნ: თ ვ ი თ ო ნ ნუნუას მიუჭდა (ალ. ჭავჭ., 5); ყველა მდინარეს თ ვ ი თ ო ნ მიჰქონდა შუაგულ! (გრ. ორბ. 116); თ ვ ი თ ო ნ მეფენიც... შფოთვენ და დრტიენენ (ნ. ბარათ. 95).

ერთადერთი თ ა ვ ა დ ზმნიზედაა ნ. ბარათაშვილის წერილებში:

ლევანიც ავად გამიხდა და თ ა ვ ა დ ზღუ იყო, უფრო დაზღუედა სიცხისაგან (195): თ ა ვ ა დ ზღუ იყო=ჯერ ისეც ზღუ იყო...

XIX საუკუნის I ნახევრის მწერლობაში თ ვ ი თ ო ნ ჯერ ისეც ნაკლებად გამოიყენება, ვიდრე თ ვ ი თ ნაცვალსახელი, II ნახევრიდან ივრძნობა მისი აშკარა უპირატესობა.

სამოციანელთა ენაში (ილია, აკაკი, იაკობ გოგებაშვილი) თვით ხშირია პოეზიაში, თვითონ — პროზაში, საზოგადოდ კი თვათონ ნაცვალსახელია უკვე გაბატონებული. ამასთან, თავად ნაცვალსახელი დამოუკიდებლად იშვიათია, იგი შესაბამის კუთვნილებითან გვხვდება ჩვეულებრივ: „ჩემ(და) თავად“ რიგის წყვილების გვერდით<sup>20</sup> ჩნდება სათანადო ჩემად რიგის ცალები. პარალელურად იხმარება ჩემით რიგის ფორმებიც. „თავით ჩემით, თვისით“ რიგის წყვილები აქა-იქლა გამოკრთის კლასიკოსთა თხზულებებში:

ილია	თვით	თ(ვ)ითონ	ჩემ(და) თავად...	ჩემით...
პოეზია (ტ. 1)	84	19	—	—
პროზა: მხატვრული (ტ. 2)	15	186	53	5
პუბლიცისტური (ტ. 3)	94	171	12	14
სულ	193	376	65	19

### დავიმოწმოთ ტექსტა:

თვით, თვითონ<sup>21</sup>: სიყვარულში თვითონ სიყვარული უნდა ექებოს კაცმა, სიყვარულში თვით სიყვარული უნდა უყვარდეს სიყვარულისათვის კაცსა და არა რაიმე სურვილისათვის (II,533); ...რომელიც თითონ ჰქმნას, თითონ სჯის, თითონ სწავს, თითონ სჯრის და თითონ ჰკერავს III, 155); კაცი თუ საზოგადოება, რომელიც თვით არ მოქმედებს, თვით საკუთარის თაოსნობით ჭირს არ ებრძვის, მეტ-ნაკლებობისაგან დახსნას თვით არ ეტანება, თავის სვე-ბედსა თვითონ არ იურევს — იგი ტვირთია, იგი მეტი ბარგია ამ ქვეყნიერებაზედ (VII,343).

პარალელური საშუალებები: ისტორიის ღირსი ვრი თვისითა სცბოვრებს (V,89); ცოდნა თითონ, თავის-თავადაც სიმღიდრეა მეთქი (v, 290); გამოცლილმა სუტ-ქენინამ ისე აჩვენა თავი, რომ მითამ ჩემ თავად მოველიო (II,167); თითონ მის საკუთარს ბუნებას მინიჭებული აქვს ღონე თავით თვისით ვან-ვითარებისა (V,160); შენ შენით რა ხარ? — სახედარი და სხვა არაფერი (V, 122); შეიძლება რომელიმე ცალკე ერმა ცალკე თავისგანით მოიგონოს ხელობა ფქვისა (IV,33); ...რომელსაც ავტორი თავის თავით წარმოვედიგენს (IV,138); მარტო თავისის ნებით სარგებელს ვერც დასწევს და ვერც ასწევს (VII,369); ამის გამო მე ჩემის მხრით საჭიროდ ვრაცხ (VII,455).

20 ასეთი ნაცვალსახელი წყვილები საბასთან არ იძებნება.

21 ილია ქაჯავაძის თხზულებათა ანტომაეულში (1930—1961 წ.წ.) მხოლოდ ერთ მაგალითშია თავად დამოუკიდებლად და ისიც ზმნისაროია: ამაჲ ამბობს შუამავალი ჩვენის თავათ ისეც საწყლის ცხოვრებისა (III,272).

აკაკის 15-ტომეულში თვით, თვითონ, თავად... განსაზღვრებით ნაცვალსახელთა გამოყენების 1817 შემთხვევა აღვრიცხეთ; სინონიმურ ფორმათა რაოდენობა და სათანადო პროცენტული მაჩვენებლებია:

თვით	ცოცხალი(ს) თავით	თ(ვ)ითონ თვითან	თავად	ჩემ(და) თავად...	ჩემით...	ჩემად
481	7	990	4	265	64	6
26,5%	0,4%	54,6%	0,1%	14,6%	3,5 %	0,3%

### ნიმუშები:

თვით, თვითონ, თავად: ამბაღლებელი ხალხისა თვით ამბაღლება ცათამდე (II,91); თვითონაც თავს იმეტებს (VII,139); აქაც არის, იქაც არის, არც ჩვენია, არც სხვისაო, თავად ფრთხილი, თანამგრაქნობი მხოლოდ სხვისის მარცხისაო (II,185).

სინონიმური საშუალებები: მაგრამ შენ თავად რა გადასწყვიტე? (V,51); მე თვითონ სხვის ხელში ვიყავი, ჩემდა თავად ნება არაფრისა მქონდა (X,202); მე თვითონ, ჩემათ შეეფარე თავი ყინვარს (XIV,257); რა ამბავია, შენათ მოსულხარ, თუ სხვისგანა ხარ გამოგზავნილი! (VI,39); გირჩევ, შენით დამეხსენი (I,281); ვერც ვტირით, ვერც ვიცინით ჩვენით, ჩვენდა თავადა! (III,85); ფაშა... თავის თავათ ცოტა ჯარით შეგმას ვერ ბედავდა (VIII,310); მე რა პასუხი უნდა გავსცე იმათ, ვინც თავის თავით (მღრ. თავით თვისით) შერცხვნილია და უღონო! (XV,69); და მაინც ვერ შეეღია ქისას, ცოცხალის თავითა! (IV,339); თავისთავად და თავის ნებით წავიდეს იმ სოფლად (X,422); თვითონ შენ შენის პირით გათქმევიო (X,173); მე თვითონ ჩემის თვალითა ვნახე (X,197); ჩემი ნებით წავალ (IX,366); ჩემის ხელით გამოგპოტნი ყელს და ჩემი კბილებით დაგკლავ (IX,88); ჩვენ პირადათ იმ პაზრისა ვართ, რომ... (XII,42).

იაკობ გოგებაშვილის თხზულებებსა და სახელმძღვანელოებში<sup>22</sup> ცალ-ცალკე დავაკვირდით ამ ნაცვალსახელთა სინშირულ მონაცემებს:

ლიტერატურული წყარო	თვით	თვითონ	თავის თავად...	ჩემით...
საბავშვო მოთხრობები (ტ. 9)	23	48	1	2
პუბლიცისტური პროზა (ტ. 1)	124	158	4	9

<sup>22</sup> იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი ათ ტომად, თბ., 1952—1965.



სახელმძღვანელოებიდან გათვალისწინებულია: ა. ქართული ანბანი (1865 წ.), დედა-ენა (1876, I—II, 1912 წ.წ.), დედანი ქართული წე-რისა (1884 წ.); ბ. ბუნების კარი (1868, 1912 წ.წ.):

ნაცვალსახელი	თვით	ცოცხალი(ს) თავით	თ(ე)ითონ	თავად		ჩემ(და) თავად...	ჩემით...
				ნაცვ.	ზმნს.		
ა	7	2	80	—	1	7	7
ბ	65	1	248	—	1	15	5
სულ	72	3	328	—	2	22	12

მაგალითები:

ეს იმ გვარი ფაქტია, რომელიც თვითონ, თავის თავად, აუხსნელად ჰკვივის და ღაღადებს (I,223); ბოლოს, ზოგიერთმა სოფლის საზოგადოებამ, თვით თავის მიხედვით და თაონობით, დაადგინეს (I,251); არ გინდა შენ თავათ მოშორდე და მიყურე, როგორ დაგასჩხოვო (V,232); ცოცხალი თავით ახლა-კი აღარ მოვშორდები ჩემს დავითს (IX,145).

ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებზე აღზრდილი ქართველი ათვის, ცხადია, უპირატესობა აქვს თვითონ ნაცვალსახელს, მას გვერდით უდგას უკვე რამდენადმე არქაული ელფერის თვით, რომელიც უფრო ხშირად ლექსის ზომით არის შეპირობებული ან განსაკუთრებულ შემთხვევებში იხმარება, მაგალითად, ...ც კი-ნაწილაკებიან გაძლიერების ფორმებთან.

მოწაფეს თავად ზმნისართი და თავად ნაცვალსახელიცა ხვდება; ზმნისართად — ანდაზაში: თავათ/დ არ იყო ძმარო, შიგ შეუტრის წყალიო (დედა-ენა; 1876, გვ. 25; 1912, გვ. 12)<sup>23</sup>, ნაცვალსახელად კი — თედო რაზიკაშვილის „ნიკორას ჩივილში“: „განა დამაცლის პატრონი, სული დავლიო თავადა?!“ (ბუნების კარი: VI, 465).

მაშასადამე, თავად ნაცვალსახელს დამოუკიდებლად არც ილია იყენებს, არც იაკობ გოგებაშვილი, აკაკის შემოქმედებაში კი მხოლოდ

<sup>23</sup> ეს გოგებაშვილის სახელმძღვანელოებით საყოველთაოდ ცნობილი ანდაზა დედანაში ახლა აღარ შეაქვთ. აქ თვით, თვითონ, თავად ნაცვალსახელები საერთოდ არაა გამოყენებული. თავით ნაცვალსახელს ერთადერთი ნიმუში გვხვდება სათა-ნადო კუთვნილების ნაცვალსახელთან ერთად ანდაზაში: რაც მოგევა ღავითაო, ყველა შენი თავითაო (ვ. რამ. 109). დაწყებითი კლასების ქართული ენის სხვა სახელმძღვანელოებშიც თავად არ იქმნება, თვითონ ათქვლობით აღორცილება, თვით ნაცვალსახელისა კი ორი ნიმუშია III კლასის წიგნში (გვ. 70, 142). აქ თითო-ორთლა ჩემით და მისთანაიც გვაქვს.

4 ნიმუში დაიძებნა ასეთი **თავად**-ისა (III, 50; IV, 74; V, 105; XII, 373).

სულ განსხვავებული სურათია ვაჟა-ფშაველას ენაში<sup>24</sup>:

თვით	თ(ვ)ითო/ან	თავად	ჩემ(და)თავად...	ჩემად...
371	448	200	38	9

ვაჟასთან **ჩემით** რიგის ფორმებიც გვხვდება (9 მაგალითი), ოღონდ პირის ნაცვალსახელის მოქმედებითის ფუნქციით და არა უქშქცევითი შინაარსის განსაზღვრებითს ნაცვალსახელად:

კენესა რალ ისმის ჩვენი თა? (II,72); გზა მინათდება თქვენიოთა (I,90); იმისგან ჰყვიარის ირემი, მისით დაფრინავს შველია (I,141).

განსაზღვრებით ნაცვალსახელთა შემცველი კონტექსტებია:

ა) **თვით, თვითონ, თავად**: თვით კარგად უწყის უფალმა (I,70); არაგვიც ჩუმალ მასჩქეფდა, თვით ცრემლსა ცრემლი სდიოდა (II,39); თვითონა ვნახე თვალითა (II,53); ზოვი შენ იგრძენ თავადა (I,185); ზოვი იუაქრეთ თქვენ თავად, იგრძნეთ სურათი სრულია! (II,245); ბალებს დევ დაგვიშინებს ღამ-ღამე, თავაც დაგვხელთავსო (V,348).

ბ) **შემცვლელი საშუალებები**: გიკვიროთ? არ მიკვირს მე ჩემად: მეტად არ უჭრის ტვინია (I,372); მე რა ვუშველო ჩემადა? (I,290); დიდია ჩვენი ბატონი, გუდნის ჯვარი თავითა, საყმონიც ძლიერნი ჰყვანან, ღვითთა და ღვითისა ძალითა (II,36); ჩემი ცოცხალი თავით მერანს ვერ მოვიშორებ (III,429); მე ჩემი ნებით დავტოვო საყენი, საძოვარია! (I,257).

რა უნდა იყოს მიზეზი ვაჟას ენაში **თავად** ნაცვალსახელის ასე მომრავლებისა? — ვფიქრობთ, სათანადო დიალექტის ვითარება.

ქართლურ ტექსტებში **თავად** არ მოგვეპოვება, გვხვდება მხოლოდ **თვითონ** (**თითონ, თვითან, თითვან** ვარიანტებით). სათანადო მასალებში აღმოჩნდა **თვითონ** ნაცვალსახელის ხმარების 31 შემთხვევა (**თვით, თავად** საერთოდ არ შეგვხვდებოდა).

კახურში (აგრეთვე ქიზიყურში, ინგილოურსა და ფერეიდნულში) **თვით** არაა, **თვითონ** (**თითონ, თუთან, თითან** ვარიანტებითურთ) 98-ჯერ იხმარება, **თავად** — 8-ჯერ; ერთხელ ისტორიული საბუთების ენაში, „ღმერთთან“, 7-ჯერ სოფ. მატნის, ზემო ხოდანისა და ქისტაურის მცხოვრებთა მეტყველებაში, ე. ი. ახმეტის სოფლებში — თუ-

<sup>24</sup> ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, თბ., 1961.

შურის გარემოცვაში. მამასადამე, კახურშიც გაბატონებულია თვითონ და მისი სახეცვლილებები.

ფუძედილაექტებში — ქ ა რ თ ლ უ რ ს ა და კ ა ხ უ რ შ ი — ერთნაირი მდგომარეობაა.

სხვა დიალექტებიდან ი მ ე რ უ ლ შ ი ც ჩვეულებრივია თვითონ, იშვიათად შეიძლება თავად ნაცვალსახელიც შეგვხვდეს. იმერულის მასალებში აღმოჩნდა თვითონ (თითონ, თვითან, თითვან) ნაცვალსახელის 40, თავად ნაცვალსახელის 8, ხოლო თვით ნაცვალსახელის 1 მაგალითი. საგულისხმოა, რომ თავადის 8 მაგალითიდან 7 ქ. ძოწენიძის „ზემოიმერულ კილოკავშია“ დაიხსნილი, ე. ი. უკანასკნელ ხანს ჩაწერილ ტექსტებში.

ბ ა რ ის დიალექტებისაგან განსხვავებული ვითარებაა მ თ ის დიალექტებში. მაგალითად, ფ შ ა უ რ ს ა და ხ ე ვ ს უ რ უ ლ შ ი თავად ნაცვალსახელი დომინანტობს: აქ თავად (თ ა ე ვ ა, თ ა ო ლ დ, თ ა ე ო ლ დ, თ ა ო) აღირიცხა 115, თვითონ (თ ი თ ო ნ, თ ვ ი თ ა ნ (ა) — 18. ამასთან, თვითონ უფრო კახეთის ბარელ ფშაველთა მეტყველებებაში ისმის.

წარმოდგენილი დიალექტოლოგიური მონაცემების მიხედვით გვექნება ტაბულა:

დიალექტი	თვით	თვითონ	თავად
ქართლური	—	31	—
კახური (ქაზაყური...)	—	98	8
იმერული	1	40	8
ფშაური და ხევსურული	—	18	115 <sup>25</sup>

აქედან გამოდინარეობს: შესაბამის დიალექტში (ქართლურში, კახურსა და იმერულში) თავად ნაცვალსახელის უჭონლობა ან იშვიათობა შეაპირობებს ამ ნაცვალსახელის იშვიათობას ილიას, აკაკისა და იაკობ გოგებაშვილის ენაში. პირიქით, ფშაურსა და ხევსურულში მისი საგრძნობი მომრავლება ამ ნაცვალსახელის სიხშირეს განსაზღვრავს ვაჟა-ფშაველას ენაში. მაგრამ დიალექტური ვითარება ყოველთვის გა-

25 მასალებისათვის ვისარგებლეთ წყაროებით: ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, 1, თბ., 1961; შ. ძიძიგური, ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონითურთ, თბ., 1956; თ. სალარიძე, ალგეთის ხეობის ქართლური, თბ., 1978; ან. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956; ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, თბ., 1973; ალ. ჭინკარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960; გ. დოლიძე, ხევსურული ტექსტები, თბ., 1975; გ. ცოცანიძე, ფშაური დიალექტი, თბ., 1978.

დამწყვეტი როლია; მწერლისეული არჩევანი შეიძლება ინდივიდუალური აღმოჩნდეს. მაგალითად, ვაჟასავე გარემოს შვილები, მისი ძმები — ნიკო (ბაჩანა) და თედო რაზიკაშვილები — თავად ნაცვალსახელს თითქმის არ ხმარობენ:

ლიტერატურული წყარო	თვით	თვითონ	თავად	ჩემ(და) თავად..
ბაჩანას პოეზია	5	87	1	1
თ. რაზიკაშვილის პროზა.	15	144	—	6 <sup>26</sup>

IV. როგორია ამ ნაცვალსახელთა განაწილების სურათი დღევანდელ ქართულში?

ახალი სალიტერატურო ქართული მისი მესაფუძვლის — ილია ჭავჭავაძის — ხაზს მიჰყვება. ეს ხაზი იყო დაცული უკანასკნელ პერიოდამდე თვით, თვითონ, თავად განსაზღვრებით ნაცვალსახელთა განაწილების საკითხშიც: თვითონ სჭარბობდა თვით ფორმას, აქა-იქ თუ გამოჩნდებოდა დამოუკიდებელი თავად ნაცვალსახელი.

არ. მარტიროსოვი თავის მონოგრაფიაში წერს: „ახალ სალიტერატურო ქართულში თავად ძალზე იშვიათად გვხვდება, რადგანაც მას ამჟამად სიტყვებმარბეში არალიტერატურული იერი გადაჰკრავს“<sup>27</sup>. ალბათ, ამის გამო იყო, რომ თავად განსაზღვრებით ნაცვალსახელად ქართული ენის სასკოლო გრამატიკის ბოლო გამოცემებშიღა შეიტანეს<sup>28</sup>.

ავტორის ეს მოსაზრება სამოციან წლებშია გამოთქმული (წიგნი 1964 წელსაა გამოცემული). მას შემდეგ, ოცი წლის მანძილზე, მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. უკანასკნელ ხანს თვით, თვითონ ნაცვალსახელების გვერდით გაზვირდა თავად ნაცვალსახელი. მას „არალიტერატურული იერი“ — დიალექტური ელფერი — დაეკარგა<sup>29</sup> და სალიტერატურო ენის ფორმად იქცა. ტექსტში თავად შეიძლება სათანადო დიალექტური გარემოს განცდას ან ძველი დროის აღქმასაც უკავშირდებოდეს, მაგრამ იგი უკვე ლიტერატურული ფორმაა და არა დიალექტიზმი:

<sup>26</sup> ბაჩანა, ლექსები, პოემები, თბ., 1938; თ. რაზიკაშვილი, თხზულებანი ორ ტომად, თბ., 1972.

<sup>27</sup> არ. მარტიროსოვი, დასახ. შრ., გვ. 219.

<sup>28</sup> იხ. ა. შანიძე, ი. იშნაიშვილი, ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, V კლასის სახელმძღვანელო, 1983 და შემდგომი წლების გამოცემები (გვ. 108; § 78).

<sup>29</sup> არალიტერატურული დარჩა თავად ჭერ, ისედაც, უწინ, წინათ... ზმნისართების მნიშვნელობით.

თავად თუშმა, შენაქოში დაბადებულმა, მშობელ კუთხეს მართლაც რომ საინტერესო და სასარგებლო ნაშრომი მიუძღვნა („კომ.“ 15.4.84).

აღრე დედაკაცი, სანამ შეიღს გააჩენდა, თავად აგებდა ყორეს, მოვარებულ კუთხეს იმზადებდა მოსალოცინებლად. თავად მშობიარობდა, თავად წყვეტდა პიპლარს და თავად ამშრალებდა ჩეიღს („ლიტ. საქ.“ 3.2.84).

ჩვენ თვალს ვადევნებდით თვით, თვითონ, თავად განსაზღვრებითი ნაცვალსახელების გავრცელებას პერიოდული პრესის ფურცლებზე. ამ ნაცვალსახელთა განაწილების საერთო ენობრივი შთაბეჭდილების შესაქმნელად უპირატესობა მიენიჭა პრესის მონაცემებს; ზოგი დებულება კი ცალკეული მწერლის სხვა მასალებითაც დაზუსტდა.

პრესაში, მწერლებისა და ფილოლოგიური დარგის სპეციალისტების გარდა, სხვა დარგების მუშაკებიც თანამშრომლობენ. ამა თუ იმ საკითხში ენობრივ ატმოსფეროს, უპირველეს ყოვლისა, მწერლები ქმნიან, მაგრამ არანაკლებ ანგარიშგასაწვევია სხვა ავტორთა ენაც.

პირველ რიგში სწორედ პრესაში აისახება ესა თუ ის ენობრივი სიახლე: აქ იჩენს თავს მოძველებული თუ მეტყველებაში უკვე გზავაკვალული, პერსპექტიული ფორმები. იგი სანდო მასალას შეიცავს ლექსიკური დაკვირვებებისათვის, კერძოდ, ჩვენი ნაცვალსახელების შესახებაც.

1983—86 წლების ქართული ჟურნალ-გაზეთების მიხედვით თავად ნაცვალსახელი პრესის სალიტერატურო ენის ერთ-ერთი სტილური ნიშანია. ყოველდღიური და პერიოდული პრესა მისი გამოყენების საინტერესო ცნობებს გვაწვდის. მასალებიდან ჩანს ავტორების სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება როგორც თავად, ისე თვით, თვითონ განსაზღვრებითი ნაცვალსახელების მიმართ. სტატიებსა თუ თხზულებებში ისინი ხმარობენ ან ერთ რომელსამე ნაცვალსახელს, ან ორ მათგანს, ან კიდევ სამივეს პარალელურად.

1. ავტორი იყენებს მხოლოდ ერთ რომელსამე ნაცვალსახელს:

გამზულ ტექსტში თვით 3-ჯერ გვხვდება ს. ჯაფარიძის საუბრის ჩანაწერებში („ახ. კომ.“ 29. II. 83); თვითონ 6-ჯერაა დ. თევზაძის მოთხრობაში „წერილები“ („ცისკ.“, № II, 1986), თავად კი 5-ჯერ — ზ. კიკნაძის სტატიაში „ავთანდილის ანდერძი“ („ლიტ. გაზ.“ 16. 9. 83).

2. ავტორი პარალელურად ხმარობს ორ ნაცვალსახელს:

ა) თვით, თვითონ მონაცვლეობს დ. კვიციანიძის მოთხრობაში „მეტოქენი“ (1: 2) და ჯ. თითმერიას წერილში „მართალი დიალოგი დროსთან“ (5: 3) („ლიტ. საქ.“ 10.8.84; 19.9.86).

ბ) თავად/თვითონ თანაბრად — თითოჯერ — აღინიშნება ბ. ჭოხონელიძის, ჯ. იოსელიანის, გ. ხორნაულის საგაზეთო მასალებში („ლიტ. საქ.“ 27.7.84; 6.4.84; 4.5.84), ორ-ორჯერ გვხვდება ეს ნა-

ცვალსახელები ჯ. ქარჩხაძის „რაპათ-ლუხუმში“ („ლიტ. საქ.“ 15.6.84), ხოლო სამ-სამჯერ — კ. ლორთქიფანიძის „უცნაურ ქალში“ („კომ. 10.6.84).

ამ ნაცვალსახელთა არათანაბრად განაწილების შემთხვევებიცა გვაქვს აღრიცხული: თვითონ სჭარბობს თავადს მწერლების — გ. დოჩინაშვილის, თ. ხმაღაძის, რ. მიშველაძის, ირ. ტალიაშვილის — მოთხრობებში. აქ თვითონ/თავად ფორმების შეფარდება შესაბამისად: 5 : 1, 6 : 1, 8 : 1, 10 : 1 („ლიტ. საქ.“ 22.6.84; 16.9.83; „მნათ.“, № 9, 1983; „ცისკ.“, № 8, 1983). პირიქით, თავადი სჭარბობს თვითონ ნაცვალსახელს ო. ჭილაძის წერილში „ნოეს კიდობანი“. მასში თავად 8-ჯერაა, თვითონ — ერთხელ („ლიტ. საქ.“ 19.12.86).

გ) თავად/თვით ნაცვალსახელები თანაბრად, აითოჯერ და ოთხ-ოთხჯერ გამოუყენებიათ საგაზეთო სტატიებში ლ. გახარიასა და გ. გვახარიას („კომ.“ 20.5.84; „ახ. კომ.“ 18.2.84).

არათანაბრად ნაწილდება ეს ნაცვალსახელები, კერძოდ, თავად სჭარბობს თვით ნაცვალსახელს რ. ჯაფარიძის (2 : 1), თ. ქორიძისა (3 : 1) და მ. გიგინეიშვილის (2 : 1) კორესპონდენციებში („ლიტ. საქ.“ 3.6.83; 17.8.84; „ახ. კომ.“ 6.3.84), ხოლო თვით სჭარბობს თავადს „ლიტერატურული საქართველოს“ სარედაქციო წერილსა და ვ. ითონიშვილის სტატიაში: მათი შეფარდებაა — 3 : 1, 2 : 1 („ლიტ. საქ.“ 7.9.84; 28.10.83).

3. ავტორებთან ერთდროულად გვხვდება სამივე ნაცვალსახელი. მათი განაწილება, ცხადია, სხვადასხვანაირია სხვადასხვა მწერალთან, თითოეულის სხვადასხვა თხზულებაში.

წარმოვადგენთ ცხრილს გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მასალების მიხედვით:

ავტორი	სტატია ან ნაწარმოები (როლის დაიბეჭდა)	ნაცვალსახელი		
		თვით	თვითონ	თავად
გ. გვერდწითელი	„ახალი რომანი...“ (10. 2. 84)	1	2	5
ლ. სულაბერიძე	„თაობაში გამორჩეული“ (13. 4. 84)	1	2	2
ა. მირიანაშვილი	„მეფე პოეტის...“ (22. 6. 84)	1	3	1
ს. ჭილაძე	„წიგნიდან...“ (27. 4. 84)	1	1	2
რ. ჯაფარიძე	„ჭანგა“ (15. 2. 85)	2	1	5
ა. გაწერელია	„შამილი“ (10. 10. 86)	1	11	1

ავტორთა თითო-ორთა სტატიის მონაცემები საკითხზე სრულ წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის, მაგრამ წინასწარი აზრისათვის ესეც მნიშვნელოვანია.

პრესის მასალის მიხედვით **თვითონ** ნაცვალსახელს ანიჭებენ უპირატესობას მწერლები: გ. ფანჯიკიძე, ო. იოსელიანი, ვ. ჩხიკვაძე და სხვები. მხოლოდ **თვითონ**-ს შეიცავს:

გ. ფანჯიკიძის „რეკვიემი“	23 („მნათობი“ № 3, 1983)
„ქვიშის საათი“	5 („ლიტ. საქ.“ 7. 9. 84)
ო. იოსელიანი „ნოველები“	16 („ცისკარი“ № 11, 1983)
„ჩემი მიწა“	4 („ლიტ. საქ.“ 6. 1. 84)
ვ. ჩხიკვაძის „მოთხრობები“	8 („ცისკარი“ № 10, 1983)
„თოჯინა“, „მიხო“	6 („ლიტ. საქ.“ 3. 8. 84).

ერთ რომელიმე (ან რამდენიმე) ნაწარმოებში (სტატიაში) შეიძლება ავტორი ერთ რომელსავე ნაცვალსახელს დასჯერდეს, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ მას სხვა სინონიმებზე ხელი აუღია. მაგალითად, ო. ჩხეიძის „ყოჩაღ გოგოში“ მხოლოდ **თვითონ** ნაცვალსახელია — 3-ჯერ, ამავე ავტორის „ჩემი სოფლის ეტიუდებში“ **თვითონ**-ს **თვით** ნაცვალსახელი ეცილება — 9 : 5 („ლიტ. საქ.“ 14. 10. 83; 10. 8. 84).

ნ. დუმბაძის ბოლოდროინდელი მოთხრობების ენაში **თავად** ნაცვალსახელიც მომრავლდა **თვითონ**-ის პარალელურად: **თავად** 3-ჯერ და **თვითონ** ერთხელ იკითხება მოთხრობა „თალიკოში“ („ლიტ. საქ.“ 11. 5. 84), ხოლო **თავად** 3-ჯერ და **თვითონ** 4-ჯერაა მოთხრობაში „ატვაც! ინჩუ ჰამარ!“ („ლიტ. საქ.“ 26. 8. 83). ერთად თუ ვიანგარიშებთ, ამ ორ მოთხრობაში **თავად/თვითონ** დაახლოებით თანაბრად გამოდის (6 : 5), თუმცა მწერლის ენაში **თვითონ** არის გაბატონებული: მის სამტომეულში **თვითონ** 328-ჯერაა გამოყენებული, **თვით/თავად** — 8-მ-ჯერ<sup>30</sup>.

პრესაში გამოქვეყნებული ცალკეული ნაწარმოების ჩვენებს მნიშვნელოვნად ცვლის ავტორის მთელი შემოქმედების გათვალისწინება. მონაცემებს აზუსტებს თხზულების დაწერის დრო: აქეთ და აქეთ ხშირდება **თავად** ნაცვალსახელი სამწერლო ენაში და ზოგა მწერლის შემოქმედებაშიც.

**თვით**, **თვითონ**, **თავად** ნაცვალსახელთა გავრცელების საინტერესო ვითარებაა რ. ჭეიშვილის პროზაში. ერთტომეული „ცისფერი მთები“ შეიცავს განსაზღვრებით ნაცვალსახელთა 262 მაგალითს. მათი შეფარდებაა:

<sup>30</sup> ნ. დუმბაძე, რჩეული ნაწერები სამ ტომად, თბ., 1, 1982; 11, 1983; 111, 1984 (ნაცვალსახელთა სინთეტური მონაცემები გამოთვალა სტუდენტმა ლ. ალადაშვილმა).

თვითონ — 172 (66%)  
 თავად — 66 (25%)  
 თვით — 24 (9%)

ავტორის შემოქმედება უკანასკნელი 20 წლის სურათს გვიჩვენებს. ტომში შესულია 1962—1982 წლებში დაწერილი თხზულებები. როგორც მოსალოდნელი იყო, მწერლის ენაში **თვითონ** არის გაბატონებული, არცთუ იშვიათია **თვით** ნაცვალსახელი, ხოლო საგრძნობლადაა მომრავლებული **თავად**. იგი წიგნის პირველსავე სტრუქტურებში გვხვდება: „მკითხველი თავადვე მიხვდებაო“, — ვკითხულობთ ანოტაციაში<sup>31</sup>.

**თავად** ნაცვალსახელის ხმარების ერთ-ერთი გავრცელებული სიტუაციაა მოკითხვა. დავაკვირდეთ შესაბამის კონტექსტებს რ. ჭეიშვილის თხზულებებში:

1. **რედაქტორი** (ყვირის). ქაქუცას ვახლავარ, ქაქუცას, როგორა ხარ, ჩემო ჭაქუცა?!

**ხმა ტელეფონიდან**. მადლობთ, ბატონო ქაიხოსრო, თქვენ თავად როგორ ბრძანდებით?

**რედაქტორი**. მე როგორ ვიქნები შენ თავს მონატრებული, შენგან დავიწყებული! (154).

2. — ერთი წუთით, ბატონო გიორგი, გამარჯობათ, მიშა მოგესალმებათ. შერვაშიძე, დიხ, კი, როგორ გიკითხოთ, დიხ, კი, ხე, ხე... თავად როგორ?... (374).

ეს ზრდილობიანი თუ მოჩვენებით ზრდილობიანი მოკითხვის ტექსტები ორსავე შემთხვევაში შეიცავს **თავადს**. მას პირის ნაცვალსახელი ცვლის: მორიდებულ საუბარში — **თქვენ**, შინაურულში — **შენ** (მოკითხვის ფამილარული ტექსტი სხვა ენობრივი ნიშნებითაც გამოირჩევა); შდრ.:

1. — როგორა ხარ?

— კარგად, თქვენ როგორ ბრძანდებით (128).

2. — რაა ხარ?

— კარგად.

— შენ რას შევბი?

— რას ეიზამ?... (592).

**თავად**-ის სინონიმებიდან **თვით**, ჩვეულებრივ, არ გვხვდება მოკითხვაში, **თვითონ** კი გამოიყენება — სათანადო პირის ნაცვალსახელთან

<sup>31</sup> რ. ჭეიშვილი, ცისფერი მთები, თბ., 1983. ჩვენ ვესაუბრეთ მწერალს განსაზღვრებით ნაცვალსახელთა გამოყენების თაობაზე. აღნიშნა, რომ იგი ამ ნაცვალსახელს ერთმანეთს უნაცვლებს, როგორც სინონიმურ საშუალებებს, ტავტოლოგიის თავიდან ასაცილებლად. ამასთან, **თავად**, მისი აზრით, უფრო ელვრადი (მეტე ექსპრესიული ძალის მქონე, ემოციურად დატვირთული), დახვეწილი ფორმაა.



ერთად ან უამისოდ. მაგალითად, **თვითონ** დამოუკიდებლადაა რ. ჭერ-  
შვილთან კონტექსტში:

როგორა ხარო, მკითხა სერიოზულად.

კარგად-მეტივი. თვითონ კითხვა აღარ ჰქრდებოდა (კიდევ უფრო ჩასუქე-  
ბულ-ჩამრგვალებულიყო) (825).

**თვით, თვითონ, თავად** ნაცვალსახელთა შინაარსობრივი ნიუანსების  
დადგენა, მათი მოსარგები კონტექსტების კლასიფიკაცია და სტილის-  
ტიკური დახასიათება ცალკეულ ავტორთა სავანგებოდ შესწავლას მო-  
ითხოვს. ამჯერად ჩვენ ძირითადად პრესის ჩვენებას ვეყრდნობით.

საეურნალოგაზეთო მონაცემების მიხედვით შთაბეჭდილება ისეთია,  
რომ **თვით, თვითონ, თავად** სინონიმური ერთეულებიდან ერთდრო-  
ულად ორი მათგანის ან სამივეს გამოყენება, ჩვეულებრივ, სათანადო  
შინაარსობრივი ნიუანსების გათვალისწინებით ხდება. ამასთანავე, და-  
სახელებულ ერთეულებს ზოგჯერ სხვა ენობრივი საშუალებებიც ენაც-  
ვლება. ესენია: ჩემით, შენით, თავისით; ჩემ(და)თავად,  
შენ(და)თავად, თავის(და)თავად; ჩემი/შენი, თავის-  
ი (პირით/ყურით, თვალით...), პირადად და მისთ.

სინონიმური ერთეულების შენაცვლება აღინიშნება როგორც და-  
შორებულ ფრაზებში, ისე გაბმულ ტექსტში:

ა) თავადვე პასუხობდა. მეც ჩემდა თავად ქართველ შვილს გავზრდი.  
თავისით იძინებს (გ. დოჩან, „ლიტ. საქ.“ 16. 9. 83); ტვითი საბეჭურს თ-  
ვისთავად აპყვება. ჩემი ყურით გამოვიონია (ო. იოს., „ცისკრ.“ № 11, 1983);  
დაპზრდი და შენით ველარაფერი მოგისაზრებია. თავისით მოშენდენ.  
თვითონაც შეფიქრიანდა (თ. ხმალ, „მნათ.“, № 9, 1933); ტარიელი თავად  
გვიამბობს ამბავს: ავტორი თავისი პირით მოგვითხრობს; ვისმე... მეუობა  
საკუთარი ნებით გაეცვალოს (ზ. კიკნ., „ლიტ. საქ.“ 16. 9. 83); წარმატე-  
ბები ვუსურვოთ პირადად მას. თავადაც არ უუარია („ბ. კომ.“ 18. 2. 84).

ბ) სამმა, რომლებიც დაბალ სიღრმეზე ჩამიარხნენ, „თეთრ სიკვდილს“ თ-  
ვად დაადწიეს თავი. ძალღმაც თვითონ მოახერხა ამოსვლა („ბ. კომ.“  
22. 12. 83).

ამ შემთხვევაში თავად/თვითონ თავთავის ადგილასაა: ადამიანს თ-  
ვად შეეფერება, ძალღს — თვითონ, პირიქით რომ ყოფილიყო, უხერ-  
ხული იქნებოდა სტილისტიკურად. საზოგადოდ სტილის თვალსაზრი-  
სით საყურადღებოა სინონიმური საშუალებებით მდიდარი ვრცელი  
ტექსტები. მაგალითად:

[გურამ ფანჯიკიძე] წერს მეტალურგებზე? — თავად მდგარა მარტენის ღუ-  
შელთან. წერს ჟურნალისტზე? — თავადაა ჟურნალისტიც. წერს ტექნიკური ინ-

ტელიგენციის სულიერ პრობლემებზე? — თავად აა უმაღლესი პოლტექნიკური განათლების მქონე, წერს მეგობრობაზე — თავად აა მეგობრული გამტანობის ქომაგი, წერს მრავალშვილიანობის სიკეთეზე? — თავისი ოჯახით სხვებს აძლევს მაგალითს. წერს ფეხბურთზე? — თავად უთამაშია ფეხბურთი და მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებსაც პირადად დასწრება. წერს თუშეთზე? — ფეხით დაუფლია ეს კუთხე და უკისრია მისი ავღღიღების გამგრიხ ქომაგთა თანამებრძოლობაც.

ნაწყვეტი ამოწერილია გ. გაჩეჩილაძის სტატიიდან „მხატვრული სიტყვის სიმძაფრე“ („სამშ.“, № 10, 1983). თავად აქ 5-ჯერ გვხვდება; მეექვსედაც შეიძლება — უკანასკნელ ფრაზაში, „უკისრია“ ზმნასთან.

თუ ტექსტს კითხვა-პასუხებად დავყოფთ, მივიღებთ 7 ერთეულს — მეტალურგის, ყურნალისტის, ტექნიკური ინტელიგენტის, მეგობრის, ოჯახის, ფეხბურთის, თუშეთის შესახებ კითხვა-პასუხის შემცველ მიკროტექსტებს: პირველ ოთხ მიკროტექსტში მიჯრით იხმარება თავად, მეხუთეში მის ადგილასაა გამოთქმა „თავისი ოჯახით“, მეექვსეში ისევ თავად და პირადად გამოიყენა ავტორმა, მეშვიდეში კი შინაარსის მიხედვით „(თავისი) ფეხით“ გამოთქმა შეუნაცვლა თავადს.

თავად ნაცვალსახელის განმეორებით ტექსტი ექსპრესიულად უფრო ღირებული ხდება, რაკი ამ ვზით მეტად მახვილდება ყურადღება ამა თუ იმ მოვლენაზე. მაგრამ ზომიერების გრძნობაა საჭირო, რომ გამეორებული კომპონენტის სიხშირით (ტაქტოლოგიით) გამოხმატელობითი ეფექტი არ შემცირდეს და ფრაზა ექსპრესიულად მდარე არ გახდეს. ჩვენს შემთხვევაში ამ საშიშროების ასაცდენად ავტორმა მიმართა სინონიმურ საშუალებებს.

ზემოთ აღინიშნა, რომ თვით, თვითონ, თავად ნაცვალსახელთან თვითონ ფორმამ უპირატესობა მოიპოვა ჯერ კიდევ ნ. ბარათაშვილის დროიდან. 60-იანელთა ენაში მან საბოლოოდ განიმტეიცა პოზიციები. ეს მდგომარეობა არ დაუკარგავს მას დღესაც. ისე რომ, თუ რომელიმე ავტორი ერთ რომელსამე ნაცვალსახელს დასჯერდებოდა, მისი არჩევანი უფრო თვითონ ნაცვალსახელზე შეჩერდება. თვით ნაცვალსახელს ისტორიამ დაუკარგა ასეთი პრივილეგია, თუმცა ცალკეულ სტატიებსა და ფრაგმენტებში შეიძლება მხოლოდ თვით აღმოჩნდეს<sup>32</sup>. რაც შეეხება თავად ნაცვალსახელს, იგი პერსპექტიული ფორმა ჩანს; სალიტერატურო ენაში მისი საგრძნობი მომრავლება მხოლოდ მოდურ ენობრივ მოვლენად ვერ ჩაითვლება, რაკი იგი სულ უფრო ავიწროებს თვითონ ფორმას.

<sup>32</sup> მაგალითად: თვით უნდა იხილო ეს თვალწარმტაცი სილამაზე. თვით უნდა დასტკებ მისი სიმშვენიერით, თვით უნდა განიცადო ეს აღტაცება, რომ სრულად შეეგრძნო მთის სიდიადე („ახ. კომ.“ 29. 11. 83).

პრესის მასალების მიხედვით გამოკვეთილია ზოგი ავტორის მიდრეკილება — გაბატონოს თავად ნაცვალსახელი. მაგალითად, ნ. არველიძის მიერ „ლიტერატურულ საქართველოში“ თეატრის საკითხებზე გამოქვეყნებულ ოთხ სტატიიში 28 თავად აღმოჩნდა („ლიტ. საქ.“ 6. 1. 84; 6. 4. 84; 1. 6. 84; 29. 6. 84). სხვა სინონიმური ერთეულები ამ სტატიებში არაა მოხმობილი.

სათანადო პარალელურ საშუალებებთან შედარებით აშკარა უპირატესობა ენიჭება თავად ნაცვალსახელს გ. გაჩეჩილაძის სტატიებშიც. ზემოთ ჩვენ სპეციალურად გავაანალიზეთ ამის ერთი ნიმუში გაზეთ „სამშობლოდან“. ავტორი სხვა მაგალითებსაც გვთავაზობს: 7-გვერდიან კორესპონდენციაში — „მერანი და მისი მკითხველი“ — თავადს დროდადრო თვით ცვლის; შეფარდებაა 27 : 8 („ლიტ. საქ.“ 22. 7. 83; 29. 7. 83; 5. 8. 83).

სულ უფრო იზრდება თავად ნაცვალსახელის მოხმარების სფერო. იგი შეუზღუდველად გამოიყენება როგორც მხატვრულ პრიზასა და პოეზიაში, ისე პუბლიცისტიკაში, სხვადასხვა შინაარსის საჟურნალო-ზეთო სტატიებში და ბუნებრივია, რომ ორიგინალურის გარდა ნათარგმნ ლიტერატურაშიც მკვიდრდება:

#### ა) პროზა:

საქმრო თავად აურჩევია [თალიკოს]. არც თავად თალიკოსთვის, არც არავისთვის მიკითხავს ნებართვა. თქვენ თავად როგორ ბრძანდებათ? (ნ. დუმბა, „ლიტ. საქ.“, 11. 5. 84).

#### პოეზია:

ვინც თავად ჰავდა ზაფხულს მქუხარეს (გრ. აბაშ, „ლიტ. საქ.“, 9. 5. 85). თავად გახდებით ნაზი დედები, თავად იქნებით კარგი მამები (ზ. კუნ., „ცისკა“, № 12, 1983). უყვარდა ლხინი ალაზნის პირას — „მრავალეამიერს“ თავად იწყებდა („ლიტ. საქ.“, 8. 3. 84).

#### კრიტიკული წერილი:

როგორც ამას თავად მკვლევარი აღნიშნავს. ამას, დაე, თავად მკითხველმა გასცეს პასუხი („ლიტ. საქ.“, 17. 8. 84).

#### ბ) სოციალურ-პოლიტიკური შინაარსის ნათარგმნი ტექსტი:

თავად ვლადიმერ ილიას ძე ახალგაზრდობაშიც, მოწიფულ ასაკშიც, მუდამ... გატაცებით ოცნებობდა. ამოცანების სიახლე ობიექტურად აყენებს ერთ-ერთ პირველ ადგილზე კომკავშირის საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების, თავად სტელის გაუმჯობესების საკითხს. ასეთი კონტაქტების დროს თავადაც იმუხტები ახალგაზრდობის ენერგიით („ახ. კომ.“, 29. 5. 84).

**ნათარგმნი მხატვრული ნაწარმოები:** სომერსეტ მოემის მოთხრობა „ფრენის“ ქართულ ვარიანტში (ინგლისურიდან თარგმნა ლ. სვანმა, „ციცქ.“, № 12, 1983) **თვით/თვითონ** (2: 9) ნაცვალსახელების პარალელურად **თავად** ნ-ჯერაა გამოყენებული: თავად შეძლო (გამოტყერი, ყიდულობ, ჩაიგდე ხმა...).

ცენტრალური პრესის კვალდაკვალ **თავად** გახშირდა ადგილობრივი პრესის ფურცლებზეც. თელავის რაიონულ გაზეთ „ალაზნის განთიადში“ ვკითხულობთ:

ელენეს მშობლები... თავად არიან კარგი მოქალაქეები. მოუხსმინათ თავად ელენეს (13.3.84); თვით ბატონი შოთა როსტომაშვილი, ჩვენი მაშინდელი რედაქტორი და თავად უნივერსიტეტელი, ყოველთვის ხაზგასმით მიგვანიშნებდა... თავგანწირვამდე ერთგულებისაკენ (1.1.85); და ახლა, როცა 60 წლისა გამახდარა ჩვენი კოლეგა, გვინდა ეს სიტბო ეუწილადოთ თავად მასვე (1.1.85).

\* \* \*

**თავად** ნაცვალსახელს ძველი ქართულიდან მოსდევს ტრადიცია ღვთის სახელის ხსენებასთან დაკავშირებისა:

...სასოებით გადმომეცი თავად უფლის ხელიდან (მ. ჩიტ., „ლიტ. საქ.“ 25. 5. 84); „მერანი“ არის პოეტური რეფლექსია თავად მაცხოვარში გამხეილი ხედვისა და მრწამსის თვითშეგრძნებაზე (გ. გაჩეჩ., „ლიტ. საქ.“, 29. 7. 83); ისლამური ტრადიციის თანახმად, თავად ღმერთი იყო დამწერლობის შემოქმედი (თ. ჩხენკელი, „ანბანი გრამატოლოგიის შუქზე“, „ლიტ. საქ.“, 8. 3. 84); მონაზონი ღვთის-ნიერა კაცი გამოდგა, თავად ვალო კარი (ე. კვიციანი, „ლიტ. საქ.“, 11. 5. 84); წამით მომეჩვენა, თითქოს მზის მეწამულ შუქში ვახვეული მღვდელი თავად აც მზესავით აფრქვევდა სხივებს (ჯ. ქარჩხ., „ლიტ. საქ.“, 15. 6. 84); ეს დედამიწის სამოსელია, ეს სამოსელი კი სამყაროა. დედამიწა ხომ თავად ცაშია ანუ სამყაროში, სამყარო კი ღმერთია, ღმერთი კი რა არი? ის მარადიული, რაშიც ყველაფერი და ყველაფერი ის, რაშიც თავად არი განივთებული, გასაგებია? (ნ. დუმბ., „ლიტ. საქ.“, 26. 8. 83); აღამიანები ღმერთებს უტოლდებიან და თავად ქვნიან თავიანთ ხატად და სახედ სიცოცხლის გავრძელებას (გრ. აბაშ., „ლიტ. საქ.“, 29. 6. 84).

**თავად** მრავლდება გარდასულთა ხსოვნის სტატიებში, სადაც მოკრძალება, პიროვნებისადმი ფაქიზი დამოკიდებულებაა გამოხატული. დიდი ტკივილი დიდი პატივისცემისა და თანაგრძნობის საგანია. ამიტომ **თავად** ბუნებრივად უღერს სესილია თაყაიშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებულ სამგლოვიარო ტექსტში:

ერის ამხელა ტკივილი... თავად დადის ქუჩა-ქუჩა და ყველა ქართველის კარს აღებს დაუკიფხავად. (ნ. დუმბ., „ლიტ. საქ.“, 25. 5. 84).

სსოვნის დღეებში დაბეჭდილი მასალებიდანაა ციტირებული ფრაზები:

სოფლის მასწავლებლობას სრულიადაც არ შეუშლია მისთვის ხელი, რომ თავადაც ეცადა კლასში მწერლობაში („ლიტ. საქ.“, 27. 4. 84); [რაზმში] ისეთივე ხალისიანი, მონდომებელი პიონერები არიან, როგორც თავად ირაკლი იყო. თავადაც ერთ-ერთი პირველი იყო სწავლაშიც და შრომაშიც. იმ დღესაც თავად გაუძღვა ამზანაგებს ქალაქის პიონერთა პარკისაკენ („ახ. კომ.“, 10. 4. 84).

ემოციურად დატვირთული თავად სტილისტიკურად შეფერილსა ხდის ფრაზას. იგი იხმარება უმთავრესად დეაწლმოსილი, პატივსაცემი ადამიანების მისამართით, ვისი მაგალითიც მორალურად ამალღებს საზოგადოებას:

მხცოვანი მეცნიერი... ყოველმხრივ აღფრთოვანებს და ახალგაზრდობას თავად უბეზნებს სიკეთისა და სიწრფელის, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის, თანადგომისა და უანგარობის მაგალითს („კომ.“, 22. 8. 84); მათ [შეზღუდულა მეცნიერული ინტერესების მქონე პირებს] ბ-ნი ივანე უწყინარი ირონიით „საკითხების სპეციალისტებს“ უწოდებდა, თავად კი არ იშურებდა ცოდნასა და ენერჯიას იმისათვის, რომ მისი მოწაფეები, კოლეგები... დაზღვეულნი ყოფილიყვნენ ამ არასასურველი ეპითეტისაგან („ლიტ. საქ.“, 25. 1. 85); ვანო ლოლაშვილი... გვასწავლიდა უბრალოებას და თავმდაბლობას, საქმის ერთგულებას, ერის სიყვარულს — თავად სიკეთისა და პატიოსნების განსახიერება („ახ. კომ.“, 22. 5. 84); თავადაც მბაღი ინტელექტის მქონე მწერალი და მოღვაწე სიმონ ჩიქოვანი დაუღალავად იბრძოდა ჩვენს ყოფასა და ურთიერთობაში ინტელექტუალური საწყისების დასამკვიდრებლად (გრ. აბაშ, „ლიტ.“ საქ.“, 11. 10. 84); ბატონმა ბესომ [ქოუნტმა]... თავად გავგზადა უკიდურესად კრიტიკულები საკუთარი შემოქმედების მიმართ (ნ. დუმბ., „ლიტ. საქ.“, 1. 6. 84); მერე თავად ირჩია ბატონმა ლავროსიმ ერთდროულად მძიმე და ბედნიერი ზედრი (გ. გვერდწ., „ლიტ. საქ.“, 13. 4. 84).

თავისი საზეიმო სტილისტიკური ელფერის გამო თავად-ნაცვალსახელიანი ფრაზის შინაარსი ამალღებულ განწყობას გვიქმნის, მშვენიერების იდეალურ სამყაროში გვაქცევს, თავისუფალი აზრის სიკეთეს განგვაცდევინებს, ინტელიგენტობის, გმირობისა და მამაცობის ისეთ მაგალითებს გვთავაზობს, სიამაყის გრძნობით რომ გვაესებს:

ღირიკული გმირი... თავად გვაზიარებს სანუჯვარ მიზანს („ლიტ. საქ.“, 8. 3. 84); თავად მსახობები პირველი წარმოდგენის წინ განსაკუთრებით დელავდუნენ. „ოტელოს“ ჩხვიძისეულ დადგმაში ბრწყინვალედ არის დანახული თავად შექსპირი (დ. კაკაბ., „ლიტ. საქ.“, 25. 5. 84); ეამაყებოდა გურამს ინტელაგენტური ოჯახის შვილობა, თავადაც რომ ინტელიგენტად მოიხსენიებოდა („ლიტ. საქ.“, 27. 7. 84); თავად მეთაური პირველი კლასის მფრინავია („კომ.“, 6. 5. 84).

ამალღებულ გარემოს ადამიანებთან ერთად საგნებიცა და მოვლენებიც ქმნიან. ასეთ გარემოში ყველაფერი ერთიანად აღიქმება როგორც მშვენიერი. ამიტომ გასაგებია, თავად ასეთი საგნებისა და მოვ-

ლენების მსაზღვრელადაც რომ იხმარება: თავად ნიჭი (სიმღერა, ესპანეთი...):

ნიჭი... თავად უნათებდა გზას [მსახიობს]. ერთ-ერთი ყველაზე დიდი სასწაული თავად იყო („კომ.“, 26. 5. 84); ...კი არ უნდა მღეროდე მხოლოდ, არამედ თავად ამ სიმღერით უნდა ცხოვრობდე. ანსამბლის წევრები... თავადაც ქმნიან სიმღერებს („ახ. კომ.“, 5. 6. 84); დღევანდელი ესპანეთი თავად იქცა ისეთ ქვეყნად, თავშესაფარს რომ აძლევს ლათინური ამერიკის ქვეყნების მწერლებსა და მხატვრებს („ლიტ. საქ.“, 11. 5. 84).

თავად-ნაცვალსახელიანი ფრაზის ადრესატი, ჩვეულებრივ, III პირია (საუბრის საგანი), ზოგჯერ, თქვენობით მიმართვისას, II პირი, ე. ი. თანამოუბარიც, არის<sup>33</sup>.

თავად მონაწილეობდით ამ სახალხო ომში [მიმართავს რევანს ჭაფარაძეს საქინფორმის კორესპონდენტი] („ლიტ. საქ.“, 10. 2. 84); შეეხებენ, იქნებ თავად ჩაატაროთ გაცვეთილი, გიჟურებთ და ვისწავლი-მეთქი („კომ.“, 25. 4. 84), თავად განსაჯეთ, ოცდაათი წლისას ყინულმჭრელ „ალექსანდრე სიბირიაკოვს“ კაპიტნობა მიანდევს („კომ.“, 11. 4. 84).

არცთუ იშვიათად მოუბარი თავისი მისამართითაც იყენებს თავად ნაცვალსახელს:

თავად ვასწავლიდი ასეთ კლასში („კომ.“ 25. 4. 84); თავადაც გულით ავადმყოფს დღლილობისაგან გონი წამრთმევია („ახ. კომ.“, 25. 8. 84); პატიცემული ტრიფონი... თავად სვამს კიბხვას და თავადაც პასუხობს. თავად კი ვფიქრობ („ახ. კომ.“, 8. 9. 83).

პირველი ორი მავალითი სკოლის მასწავლებელთა მეტყველებიდანაა მოყვანილი, მესამე — ყურნალისტი ქარხნის ხარატთან (მასწავლებელ-დამრიგებელთან) საუბრიდან. პატიცემული ტრიფონის მიმართ ნათქვამი თავად ვასაგებია, ხოლო ყურნალისტი ან მასწავლებელი რომ თავის თავსაც თავად ნაცვალსახელით მოიხსენიებს, თითქოს უხერხულია თავის ამგვარად გამორჩევა, მაგრამ საქმე ის არის, რომ თავად საერთოდ ზრდილობიან, მორიდებულ საუბარში სახმარებელი ენობრივი კომპონენტის ფუნქციას იძენს.

ზეაწიული ტონის მოყვარულთა საუბარში თავად განუჩრჩველად იხმარება. აქ გვერდიგვერდ გვხვდება თავად მოსალოდნელ და მო-

33 მოკითხვის დიალოგში თავად, როგორც წესი, თანამოუბარი, II პირის, მისამართით ისმის: — როგორა ხარ? — კარგად, თავად ხომ კარგად? — კარგად, მაღლობთი (თელაველთა საუბრიდან).

ულოდნელ სიტუაციებში. ასე მაგალითად, თავად-ის გამოყენების ორი შემთხვევა გვაქვს სტატიამი „სამწუხაროდ, ვაჟს შვილივით ველარ ზრდიან“:

თავად გურჯაანელ კაცს ვაჟის სიყვარული არასოდეს გაუწელდება. ჭირის მალეც რას გვიშველის, თუ თავად ჭირი არ დამალავს თავს („კომ.“, 4. 5. 84).

აქ თავად ვაჟის სიყვარულად ქცეული გურჯაანელი ძვეენახის მსაზღვრელად ბუნებრივია, „ჭირის“ მსაზღვრელად კი უადგილოდ გვეჩვენება იგი.

ანალოგიურადვე საგნებისა და მოვლენების მიმართ თავად თითქოს მოულოდნელია ასეთ ფრაზებში:

დაგვერწმუნებით, თუ როდენ ძნელია თავად ეს [ჩითილებას გამოყვანის] პროცესი (რადიოგად. 23. 5. 84); თავად ანდროლოგია [შეცნიერება მამაკაცის შესახებ]... შეიძლება განესაზღვროთ... („კომ.“, 21. 9. 83); თავად გაფართოვდა ესმც [ნაკვეთი] („ლიტ. საქ.“, 10. 8. 84).

ეტყობა, ზოგი ავტორი იმდენად მიჩვეულია თავად-ს, რომ თვით, თვითონ ნაცვალსახელებს იშვიათადლა ხმარობს, ანდა ამათაც იყენებს, მაგრამ უფრო თავად-ს მიმართავს მოდის მიმდევარივით.

თავად ნაცვალსახელისადმი დამოკიდებულება ინდივიდუალური ჩანს. შეიძლება გამოიყოს თავად-ის მომხმარებელთა რამდენიმე ჯგუფი:

1. ენობრივი ალლო აქვს, ერკვევა მის ნიუანსებში და ცდილობს, ზუსტად მოარგოს იგი ფრაზის (კონტექსტის) შინაარსს;

2. გაუზარებლად, მექანიკურად იყენებს თავად ფორმას. შემდგომ შექმნილი ან დიალექტიდან მოყოლილი ჩვევა უკარნახებს, დროდადრო შეუნაცვლოს იგი თვით, თვითონ ერთეულებს;

3. ხშირად ეტანება ამ ნაცვალსახელს, როგორც ენობრივ სამკაულს, სტილისტიკურად ნეიტრალური თვითონ-ის ნაცვლად თავად ფორმას აბატონებს ფრაზაში;

4. ერიდება ამ სიტყვის ხმარებას, რაკი გრძნობს, რომ იგი ერთგვარი სიახლეა ენაში და მის გარემოში არ ისმის;

5. შინაგანი წინააღმდეგობის მიუხედავად, თავად-ის სულ უფრო გავრცელების ტენდენცია აიძულებს პიროვნებას, თვითონაც გამოიყენოს იგი...

თავისი ფართოდ გავრცელებულობისა და ემოციური დატვირთულობის გამო ქართველის ენობრივი ალლო თავად-ს გამოაცალკევებს შესაბამისი სინონიმური ერთეულებიდან. მასზე მსჯელობა შეუძლია ქართული ენობრივი კოლექტივის ნებისმიერ წევრს.

თავად ნაცვალსახელის მოხმარების შესახებ მკითხველი თავის მოსაზრებებს გამოთქვამს გაზეთის ფურცლებზე. მაგალითად, 1984 წელს გაზ. „კომუნისტში“ დაიბეჭდა ო. ხუციშვილის სტატია „გვმართებს მეტი გულისყური და დაკვირვება“, სადაც, სხვა ენობრივი ერთეულების გარდა, თავად ნაცვალსახელის შესახებაც გვხვდება შენიშვნები:

„ბოლო წლებში ზოგ სიტყვას სინონიმური გაგების სიტყვათა წინაშე რაღაც გაუმართლებელ უპირატესობას ვანიჭებთ და სხვა სიტყვები კი თანდათან ჩრდილში დგება (მხედველობაში გვაქვს შემთხვევები, როცა ეს სტილური აუცილებლობით არ არის განპირობებული): დღეს იშვიათად თულა ვხმარობთ სიტყვებს: გათენებისას, თვით/(ონ), გამო, ირგვლივ, გარშემო და სხვ., რომელთა ნაცვლად შესაბამისად ვხმარობთ როგორღაც პრივილეგიურ სიტყვებს: გამთენიისას, თავად, დაკავშირებით და სხვ. სინონიმურ სიტყვათაგან ერთი რიგისათვის ასეთი დაუსაბუთებელი უპირატესობის მინიჭება, სხვა რომ არაფერი, ენის ლექსიკის გაღარიბების საფრთხეს ქმნის“ („კომ.“ 9.6.84).

აქ დასახელებული შემთხვევები სხვადასხვაგვარ ენობრივ კვალიფიკაციას მოითხოვს. ჩვენ უშუალოდ თავად გვიანტერესებს.

წერილის ავტორისათვის თვით, თვითონ, თავად სინონიმური სიტყვებიდან: 1. თავად-ს გაუმართლებლად ენიჭება უპირატესობა, იგი პრივილეგირებულია, გამოიყენება სტილისტიკური საჭიროების გარეშე; 2. თვით, თვითონ ჩრდილში დგება: რაკი იშვიათადლა იხმარება, დავიწყებას შეიძლება მიეცეს ისინი და შეიქმნას ლექსიკური გაღარიბების საფრთხე.

თავად-ის მოძალების გამო თვით, თვითონ ნაცვალსახელთა ენიდან განდევნის ეჭვი საფუძველმოკლებული უნდა იყოს, — იმაზე კი სწორადაა მინიშნებული წერილში, რომ ზოგი ავტორის ენაში ხშირად საკითხავია თავად-ის შემცველი ფრაზების სტილისტიკური მართებულობა.

თავად ძველთაგანვე მოსდევს ენას. ქართულში არსებობს მისი გამოყენების ხანგრძლივი ტრადიცია. ავტორს ყოველთვის უნდა ჰქონოდა ამ ფორმის სწორად მოხმარების ალღო. დღესაც ზომიერების გრძნობაა საჭირო, რომ იგი განურჩევლად ყველგან არ ვინმართო და ამით თავად ინდივიდუალური სტილის უგემოვნოდ შერჩეულ კომპონენტად არ ვაქციოთ.

დასასრულ, შევჩერდეთ სასაუბრო ქართულის, უკეთ, დიალექტური მეტყველების წარმომადგენელთა დამოკიდებულებაზე თავად ნაცვალსახელისადმი.



1984 წლის ზაფხულში რამდენიმე პირს გავესაუბრეთ თავად ნაცვალსახელის მოხმარების თაობაზე სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანში.

ანანო ქურდაშვილი (1914 წ.) და მარო მჭედლიშვილი (1918 წ.) რომ გამოეთხოვნენ ერთმანეთს, ანანოს ვკითხეთ: — თავად სიტყვა ხომ არ იცის მოკითხვაში დეიდა მარომ?

— არა, შვილო, ეგ კულტურული ქალია, ვგენი არ იცის! — მიპასუხა მან, ხოლო, როცა თვით მაროს გამოველაპარაკეთ: — „თვითონ“ სიტყვაც ვიცა და „თავადაც“, მაგრამ ეს უფრო კულტურულადაა ქდერსო“, — გამოარჩია თავად ფორმა დეიდა მარომ.

ანანო სულ ნუკრიანში ცხოვრობს, დაწყებითი განათლება აქვს, მარო სიღნაღელია, საშუალო სკოლის შემდეგ ეკონომისტის კურსებიც დაუშთაფრებია.

დარიკო ზირაქიშვილი (1937 წ.) ქვემო მაღაროდანაა გამოთხოვილი, საშუალო განათლებით:

— დარიკო, რომელს უფრო ხშირად ხმარობ: თვითონ თუ თავად სიტყვას? თავად აქ გაგიგონია?

— მე, მეცა და ჩვენც აქ თითონ ვიცით. თავად, აბა, აქ არა... ზოგან იციან, გააჩნია, რომელი სოფლისაა აღამიანი.

ნინა შალვაშვილი, ნუკრიანის მკვიდრი, წიგნიერი (დაწყებითსკოლაგამოვლილი), 70 წლისა:

— დედი თავად როგორა ხარო, იციან აქ ერთმანეთის მოკითხვა?

— აქ, აბა, არ იციან, სხვიდამაც არ გამიგონია, ჰო, ეგე ელიკოა პატარაძალმა და დაძმებმა კი იციან, იმერლებმა. წინაზე ელიკოა და რო მოკითხე, თავად როგორა ხარო, — გამამძახა.

მარუსა ხმალაძე, მამნაარიდან გამოთხოვილი, წიგნიერი (შვიდკლასდამთავრებული), 72 წლისა:

— თავად სიტყვა გაგიგონიათ, მარუსა ძალო, მოკითხვაში?

— მა, რა აე, რო ეკითხვენ ვინმეა, როგორა ხარო, — თავად თქვენ როგორა ამბქანდებით, შენ თითონო, რა! ეგ სიტყვა მე ბავშვობიდანვე მასსოვს. თედიკოა ბიჭი ვიგა იყო, ჩემი ძიასი ნათლია, ჩამაიარა სიღნაღიდან ფაიტენითა და: — როგორა ამბქანდებითო, რო ეკითხებიან, აბა, აქათ-ექიდან: — თავად როგორ ვკითხობთ, თქვენ როგორა ხართო, — გეძქრახის.

მე კიდე პატარა ვიყავ, 7-8 წლისა, ჩემ გუნებაში ვამოფ: ნეტავ, ეს თავად რალა-მეთქი, ქა. შემრე მივხვდი, ეს ის იქნება, თქვენ თითონ როგორა ხართ-მეთქი!

— ხმარობთ ამ სიტყვას?

— უბანი არა, შინაურულათ „შენ როგო ხარ?“ — ვეტყვი, რო მოკითხო ეინ-შე. ისე რომ მოხდეს და მოვიდეს ჩემი ბიჭების ამხანაგი, იმათთან ვიყი. თ ა ვ ა თ კულტურულია, შვილო, კულტურისაა.

**მარუსა გოცირიძე, დაბადებული 1917 წელს, ოთხკლასდამთავრებული:**

თ ა ვ ა თ სხვიდამ კი გამიგონია, მაგრამ მე არა ვხმაროფ, შვილო, მოკითხვაში. ვგ სიტყვა მაშინ ვიციოთ აჟ, ნუკრიანში, თ ა ვ ა დ ნ ო, როცა გვინდა ვთქვათ: თ ა ვ ა თ მაგ სახლში ვმდგარვართ, უ წ ი ნ, მემრეღა ვადმოვსულვართ აჟა.

ქიზიყში ფიქსირებულ ტექსტებში, მაგალითად, სოფ. ბოდბისხევში ჩაწერილ ერთ ზღაპარში **თავათ** „ჯერ“, „ჯერ იყო და“... ზმნისართების მნიშვნელობისაა:

თ ა ვ ა თ ძალღებზო და ირემმა ვადმაირბინეა უანაზე, თქვენც უანაზე მადღი-ხართო!

მამასადამე, ქიზიყში **თავათ/დ** სიტყვა ორივე მნიშვნელობით იციან. იგი ზმნისართის შინაარსით მათთვის ჩვეულებრივია და ხშირადაც ისმის საუბარში, **თვითონ** ნაცვალსახელის სინონიმად კი გზავაკაფულია სალიტერატურო ენაზე მოლაპარაკეთა მეტყველებაში, ხოლო დიალექტის წარმომადგენლები ერიდებიან, თაკილობენ მის ხმარებას, რაკი უფრო ხალხში გამოსულთა, განათლებულთა ან სხვა დიალექტის წარმომადგენელთა პირიდან ესმით; მათ თვალში ეს ფორმა უცხოა, კულტურულია, ერთგვარი ენობრივი „კეკლუცობის“ ნიშანია, „ასე-ისეობით“ მოუბრისთვისაა ნიშანდობლივი<sup>34</sup>.

და ს კ ვ ნ ე ბ ი:

**თვით, თვითონ, თავად** განსაზღვრებით ნაცვალსახელთა სამეუღიდან **თვით, თავად** სალიტერატურო ენას მთელი ისტორიის მანძილზე გასდევს. **თვით** ორთოგრაფიულად იცვლის სახეს: თ ვ თ, თ უ ი თ, თ ვ ი თ, **თავად-ი**ს ვარიანტებს კი მისი ბრუნებადი და უბრუნველი სახეობები ქმნიან. **თვითონ** ნაცვალსახელი საერო მწერლობის ძეგლებში ჩნდება და ბატონდება XIX საუკუნის სალიტერატურო ენაში.

**თვით, თვითონ, თავად** ნაცვალსახელთა განაწილება სამწერლო ენის პერიოდების მიხედვით ასეთია:

1. ძველ ქართულში (სასულიერო მწერლობის ენაში) გვაქვს **თვით** და ბრუნებადი **თავად-ი**. გავრცელებულობის თვალსაზრისით **თავად** ტოლს არ უდებს **თვით** ნაცვალსახელს;

<sup>34</sup> ცნობებს გავვიმდიდრებდა სხვა დიალექტებზე მოლაპარაკეთა გამოკითხვაც.

2. ახალ ქართულში, საერო მწერლობის ენაში, **თვით, თავად** ნაცვალსახელების გვერდით ჩნდება **თვითონ**. სასულიერო მწერლობა, რომლის ხვედრითი წონა სულ უფრო მცირდება, ერიდება ამ ფორმას.

ა) გარდამავალი ხანის მწერლობაში უკვე გვაქვს სამეული: **თვით, თვითონ, თავად** (ბრუნებადიცა და უბრუნველიც). უბრუნველი **თავად** ნაცვალსახელურის გარდა ზმნისარბული შინაარსითაც ვრცელდება. **თვით** დანარჩენ ორს სკარბობს, **თვითონ** მრავლდება, **თავად**, პირიქით, მცირდება.

ბ) XIX საუკუნის მწერლობაში **თვით, თვითონ** არის ძირითადად გაგრცელებული, **თვითონ** უპირატესობით სარგებლობს. **თავად** თითქმის გამორიცხულია ბარის მწერალთა შემოქმედებაში. იგი ძთის მწერალთა (მაგ., ვაჟა-ფშაველას) ენისთვის არის დამახასიათებელი. **თავად** თანდათან სულ უფრო კანტიკუნტადლა გვხვდება, მას დიალექტური ელფერი ეძლევა.

გ) XX საუკუნის 60-იანი წლებიდან **თავად** ეძალემა სალიტერატურო ენას. დღეს **თავად** განსაზღვრებით ნაცვალსახელთა სამეულის სრულუფლებიანი წევრია. ამ სინონიმურ ერთეულთა განაწილება მომხმარებლის სწორ ენობრივ ალლოზეა დამოკიდებული.

საანალიზო განსაზღვრებით ნაცვალსახელებს სინონიმურ საშუალებათა ესა თუ ის წყება შეესაბამება სხვადასხვა პერიოდის ქართულში. მათი საგანგებო შესწავლა — თითოეულის შინაარსობრივი ნიუანსების დადგენა, სათანადო სიტუაციების დაწვრილებითი აღწერა — მეცნიერულად ფასეული დასკვნებით გაამდიდრებდა ქართული ენის თეორიულსა და პრაქტიკულ სტილისტიკას.